# სარბიელი

სპორტული გაზეთი — პარასკევი 18 ოქტომბერი 2002 №198 (1720) — ფასი 50 თეთრი


საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

# ჟორდანიამ და კოლოსკოვმა 30 აპრილი და თბილისი მოილაპარაკეს

## გაზაევს და ფეხბურთელებს კი ნეიტრალური მოედანი სურთ

საქართველო — რუსეთის ჩაშლილი მატჩი ისევ თბილისში, გაისად, 30 აპრილს გადათამაშდება.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და მისი რუსი კოლეგა ვიაჩესლავ კოლოსკოვი ერთმანეთს ტელეფონით ესაუბრნენ და შეთანხმდნენ — მატჩი თბილისში გაიმართება. გუშინვე ფეხბურთის ფედერაციამ საქართველო — რუსეთის გადათამაშების ისევ თბილისში, 30 აპრილს გამართვის თხოვნით უეფას გენერალურ მდივან გერჰარდ აიგნერს მიმართა და პასუხს უახლოეს მომავალში ელის. უეფას საქართველო-რუსეთის შეთანხმების საწინააღმდეგო ალბათ არაფერი ექნება, მით უმეტეს, როცა საქმე პრეზიდენტების დონეზეა მოგვარებული.







ვალერი ჩოლარია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი:

— მერაბ ჟორდანიამ და ვიაჩესლავ კოლოსკოვმა პრობლემა უკვე მოაგვარეს, რუსეთი თანახმაა, თბილისში ითამაშოს. პრეზიდენტებს ერთმანეთთან ყოველდღიური სატელეფონო კავშირი ჰქონდათ და მას შემდეგ, რაც ყველა საჭირბოროტო საკითხი განიხილეს, მატჩის თბილისში ჩატარება გადაწყვიტეს.

მიუხედავად პრეზიდენტების შეთანხმებისა, თავის აზრს არ იცვლის და მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გამართვას კატეგორიულად ითხოვს რუსეთის ნაკრების მწვრთნელი ვალერი გაზაევი, რომელსაც, მისივე თქმით, რუსი ფეხბურთელებიც ეთანხმებიან. მწვრთნელთან დაკავშირება ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ, თუმც კი მისი სათქმელი ნაწილობრივ რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალურმა მდივანმა ვლადიმირ როდიონოვმა გვითხრა და ჩოლარიასგან დაიმედებულნი, ცოტა არ იყოს, დაგვაბნია კიდეც.

— ჟორდანიამ და კოლოსკოვმა რაზე მოილაპარაკეს, რაზე შეთანხმდნენ, არ ვიცი. ვოლგოგრადიდან ერთი საათის წინ დავბრუნდი და ჩვენს პრეზიდენტს ჯერ არ შევხვედრივარ. ჩაშლილი მატჩის გადათამაშების თარიღის დადგენა ასე იოლი არ არის, პირველ ყოვლისა, სალაპარაკოა მწვრთნელებთან, მათი თანხმობის გარეშე საკითხი ვერ მოგვარდება. გაზაევს უკვე ვესაუბრე და მას არ უთქვამს თბილისში, 30 აპრილს თუ ვთამაშობთ. მგონი, არც ჩივაძემ უნდა იცოდეს, პრეზიდენტები მატჩის თარიღზე თუ შეთანხმდნენ. ყოველ შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილება უეფამ უნდა მიიღოს — განგვიცხადა როდიონოვმა, წუხელ მოსკოვში რომ დავუკავშირდით.

და მიუხედავად რუსის ნათქვამისა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი იმეორებს — ჟორდანიამ და კოლოსკოვმა მოილაპარაკეს და მატჩის 30 აპრილს თბილისში ჩატარებაზე შეთანხმდნენ. როდიონოვმა შეიძლება არც იცის ეს ამბავი. გენერალურ მდივნებს აზრის გამოთქმა შეგვიძლია, გადაწყვეტილებებს კი პრეზიდენტები იღებენ. რაც ფაქტია, გეუბნებით, ჟორდანიასა და კოლოსკოვის შეთანხმების საფუძველზე უეფას ვთხოვეთ, გადათამაშების თარიღად და ადგილად 30 აპრილი, თბილისი დაადგინოს...

30 აპრილამდე კი, შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრებს თბილისში ორი შესარჩევი მატჩის ჩატარება მოუწევს — 29 მარტს ირლანდიასთან, 2 აპრილს — შვეიცარიასთან.

კობა ინასარიძე

# ჩხაიძემ არ გადათქვა

## მარტოხელა ცაკარიასი გერმანიაში ქართველ თანაშემწეს ეძებს

## ლოკომოტივის უფროსობა ლევან ყიფიანს შესთავაზეს



ლუის ცაკარიასი



თემურ ჩხაიძე



გია ჯიშკარიანი



ზაურ სვანაძე და სერგო კოტრიკაძე

-ყველაფერი ნაკოპენჰაგენევს დაიწყო. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე დანიურ კლუბთან შინ უსახელოდ დამარცხებამ „ლოკომოტივის" ხელმძღვანელები ძალიან გააბრაზა. მაშინ იყო, კლუბის თავკაცმა აკაკი ჩხაიძემ თავისი ფეხბურთელები რომ ამხილა, ჩვენი გუნდის დამარცხებაზე ტოტალიზატორში ფსონს ჩავიდნენო.

თითქოს სკანდალიც აგორდა, მაგრამ ლაპარაკს იქით საქმე არ დაძრულა. ან როგორ დაუმტკიცებდნენ ფეხბურთელებს ფსონის დადებას. თავად მოთამაშეებმაც მკვახე-მკვახე განცხადებები გააკეთეს და საქმე ასე ჩაიფარცხა. ერთი კი დაიმუქრა აკაკი ჩხაიძე, დეკემბერში ნახევარ გუნდს გავყრიო, მაგრამ ყველა ასე ფიქრობდა, წინ მთელი საფეხბურთო სეზონია, კლუბის თავკაციც არ გარისკავს, ვითარებას არ დაძაბავსო.

მას აქეთ, გუშინწინდლამდე „ლოკომოტივი" თავისი ყოველდღიური ცხოვრებით აგრძელებდა გზას. იცვლებოდნენ მწვრთნელები, ხან კოტრიკაძე იდგა საჭესთან, ხანაც სვანაძე, რკინიგზელებიც ზოგჯერ მოიგებდნენ, ზოგჯერაც წააგებდნენ.

ასე გაგრძელდა ბერძენ-პერუელ-გერმანელი ლუის ცაკარიასის ჩამოსვლამდე. მოულოდნელად გამოჩენილი უცხოტომელი ძალაუნებურად ზაურ სვანაძის გადაყენების მიზეზი შეიქნა. მას ფოთში წაგებული თამაში დაუდეს მიზეზად და გაათავისუფლეს.

საქმე ცაკარიასმა ჩაიბარა, რომლის საფეხბურთო მსოფლმხედველობაზე წარმოდგენა ჯერაც ვერ შევიქმენით. მისი ნალაპარაკევის ზუსტად გადმოქართულება „ლოკომოტივის" ნაქირავებ თარჯიმნებსაც ძალიან უჭირთ. გუნდიც ერთბაშად გაუფერულდა. ორი მოგება და ორი მარცხი ვერაფრით დააკმაყოფილებდა კლუბის ამბიციურ ხელმძღვანელებს. ისე, წაგებაცაა და წაგებაც. რკინიგზის თავკაცებისთვის უფულო „მერანთან" და თითქმის მოუმზადებელ „ბათუმთან" დამარცხება მოუნელებელი აღმოჩნდა.

„ლოკომოტივის" სამზარეულოში ყველაფერი რიგზე რომ არ იყო, მაშინ გაირკვა, როცა ძირითადი შემადგენლობიდან გაქრა გუნდის კაპიტანი კახა გოგიჩაიშვილი. რკინიგზელებისთვის რომ გკითხათ, კახას ლვიძლი აწუხებდა, სრულიად ჯანმრთელი გოგიჩაიშვილი კი მისი არყოფნის მიზეზების გასარკვევად კლუბის თავკაცებთან გავაგზავნიდა. სიმართლე ვერ ირკვეოდა და ამასობაში გუშინწინდელი ფიასკოს ჟამიც დადგა.

„ბათუმთან" წაგებული მატჩის შემდეგ აკაკი ჩხაიძემ ცაკარიასის ოთხივე თანაშემწე — სერგო კოტრიკაძე, გია ჯიშკარიანი, ზაურ სვანაძე და თემურ ჩხაიძე გასახდელშივე დაითხოვა, უცხოელ მწვრთნელს უგულოდ ეხმარებითო.

პრეზიდენტის რისხვა ამით არ განელებულა, აკაკი ჩხაიძემ ვაკის სათადარიგო მოედანზე ფეხბურთელები ჩაამწკრივა, მისდგა და მისდგა, არავინ დაუზოგავს, ხოლო ორი მათგანი, როინ ონიანი და სულიკო დავითაშვილი, იქვე დანვე გაუშვა, ჩემმა თვალებმა არ დაგინახოთ, თავისუფლები ხართო.

გუშინწინვე ვივარაუდეთ, რკინიგზელთა თავკაცს მალე გული მოულბება და ყველას უკან დააბრუნებსო, მაგრამ გუშინდელმა დღემ ცხადყო, რომ პრეზიდენტს რისხვა გაორმაგებოდა.

„ლოკომოტივმა" გაშვებული მწვრთნელების სანაცვლოდ ცაკარიასის ახალი თანაშემწეების მოძიება და დანიშვნა დაიწყო. გუნდის უფროსობა და მენეჯერობა ლევან ყიფიანისთვის შეუთავაზებიათ. ეს ვერსია თავად რკინიგზელთა ვიცე-პრეზიდენტმა ტარიელ ღვაბერიძემ დაგვიდასტურა, ინფორმაცია სიმართლეს შეეფერება, ყიფიანს თანამშრომლობა მართლაც შევთავაზეთო. გუშინ თავად ლევან ყიფიანს შევეხმიანეთ, რომელმაც „ლოკომოტივის" წინადადების რეალურობა არც უარყო და არც დაადასტურა. კომენტარისგანაც თავი შეიკავა, ოფიციალურ პასუხს რამდენიმე დღეში მოგახსენებთო.

ლუის ცაკარიასს თანაშემწის, პოვნა თავად უკისრია, გერმანიაში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი (რომლის ვინაობა გუშინ ვერ დავაზუსტეთ) დამეხმარებაო. მას სახელად ზაზა ჰქვია და გერმანიაში სამწვრთნელო საქმეს ეუფლებაო. ტარიელ ღვაბერიძემ ეს ინფორმაციაც დაგვიდასტურა, მოლაპარაკებები დღეს-ხვალ დაიწყებაო.

სანამ „ლოკომოტივში" ახალ ხალხს დაეძებენ, მანამ დათხოვნილებზეც ვთქვათ. ოთხიდან სამმა კომენტარის გაკეთება არ ისურვა, მხოლოდ გულგატეხილმა სერგო კოტრიკაძემ გვითხრა ორი სიტყვა:

„შარი რომ მომდეს, ცაკარიასს უგულოდ ეხმარებოდიო, ვერ გავიგე, უგულობაში რა იგულისხმება. ლუისმა თავად მითხრა, მეკარეების მომზადებით კმაყოფილი ვარ, შენთან საპრეტენზიო არაფერი მაქვსო. ჩემი ბიჭებიდან ერთი, ლომაია, ეროვნული გუნდის წევრია, მეორე, ივარდავა, ახალგაზრდულისა, მეტი რაღა უნდა მექნა, ყირაზე ხომ ვერ დავდგებოდი. ეს არის ერთგული და უანგარო სამსახურის საფასური? მაგრამ სერგო კოტრიკაძეს სახვეწრად არა აქვს საქმე, ჩემი კაცობა და სახელი მაპოვნინებს გზას".

ბოლოს „ლოკომოტივიდან" გაშვებულ ფეხბურთელებს მივუბრუნდით. ონიანს და დავითაშვილს გუშინ გელა ქორიძეც შეუამხანაგეს. როგორც შევიტყვეთ, მათ ბედს კიდევ რამდენიმე გამოცდილი რკინიგზელი გაიზიარებს.

კომენტარის გაკეთება არც ერთმა მათგანმა არ ისურვა. კლუბის ხელმძღვანელებისგან კი ეს შევიტყვეთ — დავითაშვილის და ქორიძის ამბავი გადაწყვეტილია, ორივე დავითხოვეთ, ონიანის საკითხი კი ჯერაც გასარკვევია, არ არის გამორიცხული, უკანვე დავაბრუნოთო. გასაკვირი კი ის არის, რომ მათი მოკვეთის კონკრეტულ მიზეზს არავინ ამბობს.



სულიკო დავითაშვილი



გელა ქორიძე

ალბათ „ლოკომოტივის" თავკაცებმა თავიანთი საქმისა თვითონ უკეთესად იციან. ვინ გაუშვან, ვინ დატოვონ და ვინ მიიღონ, უკვე ესეც მოფიქრებული ექნებათ, მაგრამ რკინიგზის ხელმძღვანელები ვალდებულები იქნებიან, ზემოთ ნახსენებ შერისხულებს დეკემბრის ბოლომდე ხელფასი აძლიონ. კლუბმა თვითონ ისურვა კონტრაქტის გაწყვეტა და ვალდებულია, ფული გადაიხადოს, მაგრამ დარწმუნებული არც ჩვენ ვართ, კლუბსა და მოკვეთილებს შორის რაიმე ხელშეკრულება თუ არსებობდა.

ალბათ, ორიოდ დღეში „ლოკომოტივი" რეკონსტრუქციას ჩაამთავრებს, ვნახოთ, როგორი იქნება ცაკარიასის ახალი გუნდი. ისიც არ გაგვიკვირდება, ბატონმა ლუისმაც ცოტა ხანში გუდანაბადი აიკრას და აქაურობას გაეცალოს.

**ბამბუკა ძგანტალიანი**

# დუტამ სამი პენალტი და თასი ჩაიხუტა

## სარდაფში ფეხბურთსაც თამაშობენ

**ფეხბურთის თამაში** ჩვენც გვეხერხებაო, თქვეს მსახიობებმა და ვაკეში, „ირაოს" ხელოვნურსაფარიან მოედანზე ათი დღის მანძილზე აგორებდნენ ბურთს.

ხელოვნების და სპორტის საერთაშორისო ასოციაცია „გეორგიამ", რომლის თავმჯდომარეც მსახიობი და რეჟისორი კახა მიგინეიშვილია, 15-წლიანი შესვენების შემდეგ მივიწყებული ტრადიცია აღადგინა. მსახიობებმა, დიდი ქართველი მსახიობის ეროსი მანჯგალაძის სახელობის თასზე 14-გუნდა ტურნირი ჩაატარეს. ორგანიზატორებს გვერდით დაუდგნენ „ახალი მემარჯვენეები" — მსახიობებს ყოველგვარი ხვეწნა-მუდარის გარეშე გაუწიეს ფინანსური დახმარება. რომ არა ისინი, ტურნირი ვგებ ვერც ჩაგვეტარებინაო, გვითხრა კახა მიგინეიშვილმა.

ახლა ფინალზე ვთქვათ. ეროსი მანჯგალაძის სახელობის თასს თეატრალური სარდაფი და პანტომიმის თეატრი ეცილებოდნენ ერთმანეთს. მსახიობებმა ისე ეშხიანად და აზარტულად იბურთავეს, თქვენი მოწონებული. გულშემატკივარი არც ერთს აკლდა. სარდაფელებს თვით ბატონი თემურ ჩხეიძე ქომაგობდა, პანტომიმელების ყოჩი კი მისი დამაარსებელი ბატონი ამირან შალიკაშვილი გახლდათ.

დუტა სხირტლაძეს ყველა იცნობთ. პოდა, დუტამ, მარტო მსახიობობა და ტელეშოუ „ოცი ათასის" წაყვანა როდი შემიძლიაო და... მეკარის ხელთათმანებიც მოირგო. როგორი გოლკიპერიც ყოფილა, თავად განსაჯეთ: ფინალის ძირითადი და დამატებითი დრო 2:2 დასრულდა, საქმე პენალტებზე მიდგა — ერთი, ორი, სამი... დუტამ ამდენჯერ იყოჩაღა, „მომხვდურებს" გასროლილები აული, სარდაფელებს 3:1 მოაგებინა და ეროსი მანჯგალაძის სახელობის თასიც პირველმა ჩაიხუტა.

ატყდა „ირაოზე" ხვევნა-კოცნა, პანტომიმელებმა ვაჟკაცურად გადაიტანეს მარცხი და სარდაფელებს პირველობა პირველებმა მიულოცეს.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული სარდაფელი ზვიად სხირტლაძე მოედანზე ისე ჩაუქობდა, გვგონებოდათ, სცენაზე არისო. საუკეთესო მეგოლე-ბომბარდირი მუსკომედიის თეატრის მსახიობი გოგა მამისაშვილი გახდა შვიდი გატანილი ბურთით. ტურნირის მეკარედ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი თეიმურაზ ქამხაძე აღიარეს. მან მხოლოდ სამჯერ ითამაშა, მაგრამ ისე, რომ ესეც საკმარისი აღმოჩნდა საუკეთესოდ აღიარებისთვის.

და საუკეთესო მსახიობი... ორგანიზატორები თურმე დიდხანს ბჭობდნენ, ვინ გამოავლინა არტისტული ნიჭი მოედანზეცო? არჩევანის უფლება ამირან შალიკაშვილს მისცეს, მანაც ირჩია — პანტომიმის თეატრის მსახიობი, ტურნირის „უხუცესი" ფეხბურთელი, 53 წლის გოგა ოსეფაშვილი.

**გიორგი მუზაკიძე**



ეროსი მანჯგალაძის სახელობის თასი თეატრალური სარდაფისაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დარასელიას მსურველი ლიბერეცი დინამომ 3 მილიონით დააფრთხო

**თბილისის „დინამომ"** ვიტალი დარასელია სამ მილიონ დოლარად შეაფასა.

დარასელიას გადაბირება ჩეხურ „ლიბერეცს" მოსურვებია, მაგრამ საეჭვოა, სატრანსფერო თანხის შეტყობისას „დინამოსთან" მოლაპარაკებები გააგრძელოს.

ჩეხებს დარასელია „დინამო" — „ლიბერეცის" ორმატჩიანი დაპირისპირებისას მოუვიდათ თვალში. უეფას თასზე ვიტალიმ მართლაც გამორჩეულად ითამაშა და თბილისური შეხვედრის შემდეგ ჩეხებმა ქართველის გადაბირება ისურვეს, თუმც მაშინ ორ კლუბს შორის კონკრეტული საუბარი არ ყოფილა. გავიდა რამდენიმე დღე და ლიბერეციდან ფაქსი მივიდა „დინამოში" — დარასელია გვსურს და მოვილაპარაკოთო. ანალოგიური შინაარსის ფაქსი გუშინწინაც მიიღეს თბილისელებმა. მოლაპარაკება დავიწყოთ, სატრანსფერო თანხა დაგვისახელეთო, იტყობინებიან ლიბერეციდან. დარასელიაც სამ მილიონ დოლარად შეაფასეს. დინამოელთა კომპეტენტურობაში ეჭვს ვერ შევიტანთ, დარასელია ნიჭიერი ფეხბურთელია, მისი ფასი იცის „დინამომ", თუმც ისიც იცის, რომ სამი მილიონი მეტისმეტია, მაგრამ თბილისელებმა თავდამსხმელს შეგნებულად დაადეს ამხელა ფასი, რადგან ფეხბურთელი გასაყიდიდ არ ეთმობათ.

„დინამოს" თავკაც ივო შუშაკს აქამდეც ხშირად უთქვამს — ჩვენი მიზანი მოთამაშეების გაყიდვა კი არა, გუნდის შენარჩუნება და გაძლიერებაა. რაღა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში შუშაკისთვის ვერაფერი პერსპექტივა იქნებოდა გუნდის წამყვანი ფეხბურთელის გასხვისება, თუმც კოლეგიალობა ჩეხთა წინადადებაზე პასუხის გაცემას მოითხოვდა. ამიტომაც აფრინა ლიბერეცში კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა გია ფირცხალავამ „სამმილიონიანი" ფაქსი.

საინტერესოა, რას ფიქრობს ამასთან დაკავშირებით თავად ფეხბურთელი. დარასელიამ, „ლიბერეცის" წინადადება სასიამოვნოა, მაგრამ „დინამოს" შუაგზაზე ვერ ვუღალატებ, თბილისში თამაში მსურსო.

ფეხბურთელის ამ სიტყვებმა შუშაკი გაახარა. დარასელიას ნათქვამი მესიამოვნა. ეს იმის მანიშნებელიცაა, რომ კლუბში ჯანსაღი სიტუაციაა და ირგვლივ ერთგული ფეხბურთელები მყავს შემოკრებილიო, თქვა ხორვატმა. მოკლედ, დარასელია კვლავაც „დინამოში" ითამაშებს, ალბათ, ჩეხები სამ მილიონზე არ დათანხმდებიან.

**ბაატა ძვანტალიანი**



ვიტალი დარასელია „ლიბერეცთან" მატჩში მართლაც გამორჩეული იყო

# ცოტაც და, ალექსიძე დინამოელია
## შუშაკს რატი დიდი ხნით და სასწრაფოდ სჭირდება

**უიღბლოდ** აეწყო ლონდონური კარიერა რატი ალექსიძისთვის. ქართველმა შემტევმა „ჩელსიში" ფეხი ვერ მოიკიდა და ცოტა ხნის წინ საქართველოში დაბრუნდა. რატი „დინამოს" დაუბრუნდაო, ამბობდნენ და საქმეც აქეთკენ მიდის. „დინამოს" პრესატაშე ლევან სალუქვაძის თქმით, ალექსიძის საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია და ფორმალური მხარის მოგვარებაღა დარჩა.



რატი ალექსიძე

რატი „დინამოსთან" ერთად ვარჯიშობს და თავდაპირველი ინფორმაციით, კლუბს მაისამდე უნდა დაკავშირებოდა, მაგრამ ასეთი ვარიანტი შუშაკმა თუარა. შორსმჭვრეტელმა ხორვატმა განაცხადა — ერთი დღით არ ვარ „დინამოში", დიდი გეგმები მაქვს, მის განხორციელებაში ალექსიძის პოტენციალი შემეშველება და ამიტომ უფრო ხანგრძლივი ვადით მსურს მასთან თანამშრომლობაო. წინაღმდეგი არც ფეხბურთელი ყოფილა და წინასწარი ინფორმაციით, „დინამო" და რატი 2003 წლის დეკემბრამდე დაჰკრავენ ხელს.

ალექსიძესთან კონტრაქტის გაფორმებას „დინამო" იმიტომაც ჩქარობს, რომ დროებით ლადო ახალაიას გარეშე დარჩა. გუშინ მან მენისკის ოპერაცია გაიკეთა და, სულ მცირე, ორი თვე ვერ შეძლებს ვარჯიშს. მის არყოფნაში კი რატი ალექსიძეს დიდი სარგებლის მოტანა შეეძლო გუნდისთვის და შუშაკიც ახალაიას ტრავმით შექმნილ პრობლემას ალექსიძით გადაჭრის.

**ბაატა ძვანტალიანი**



გურამ მურაჩაშვილის ფოტო

ვინსენ მონიე



მარსელ ვენცი



მერაბ ჟორდანია

# გისმენთ, მუსიე ვინსენ!
## ფიფა-უეფას მსტოვრებმა ფედერაციას ახალი წესდება მოუწონეს

**ალბათ** ჯერაც კარგად გახსოვთ, რა აჟიოტაჟი იყო ატეხილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის არჩევნებამდე. კანდიდატებს სარჩელი სარჩელზე შეჰქონდათ ქართულ სასამართლოებში და თავიანთი სიმართლის დამტკიცებას ლამობდნენ. დავით პეტრიაშვილისა და ვაჟა ჩხაიძის უკმაყოფილების საბაბი ფეხბურთის ფედერაციის წესდება იყო, რომელიც ფიფა-უეფას რეგლამენტისგან ძალიან განსხვავდებოდა. ეს ამბავი მათ ყურამდეც მივიდა და ბევრმა ქართულ ფეხბურთს მსოფლიოსგან იზოლირებაც უწინასწარმეტყველა, თუმც ფეხბურთის მამებმა არ გაგვწირეს, არჩევნების ჩატარება მოქმედი წესდებით დაუყოვნებლივ მოითხოვეს და სფფ-საც ახალი წესდების მომზადება ყრილობიდან ექვსი თვის ვადაში უბრძანეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სათავეში ზედიზედ მეორე ვადით არჩეულმა მერაბ ჟორდანიამაც ფიფას მოთხოვნას ყური უგდო და გუშინ თბილისში ჩამოსულ სტუმრებს — ფიფას ეროვნულ ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავკაც ვინსენ მონიესა და უეფას წევრ ასოციაციებთან ურთიერთობისა და კლუბთა ლიცენზირების კომიტეტების ხელმძღვანელ მარსელ ვენცს უმასპინძლა.

ვინსენ მონიე და მარსელ ვენცი მერაბ ჟორდანიას და გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას გუშინ შუადღისას ესტუმრნენ ოფისში. მხარეებმა კარგა ხანს დახურულ კარს მიღმა ისაუბრეს, ფედერაციის წესდების ახალი პროექტი განიხილეს და მერე ჟურნალისტთა ცნობისმოყვარეობაც დააკმაყოფილეს.

***მერაბ ჟორდანია***

— ალბათ გახსოვთ, ფიფას და უეფამ არჩევნების შემდეგ ახალი წესდების პროექტის მომზადება დაგვავალა. მას შემდეგ ამ საკითხზე ვმუშაობდით და დღეს ჩვენს სტუმრებსაც გავაცანით. ვინსენ მონიემ და მარსელ ვენცმა რამდენიმე შენიშვნა მოგვცეს, რასაც აუცილებლად გავითვალისწინებთ. ამ დღეებში პროექტი საბოლოოდ დაიხვეწება და ორშაბათს ჩვენს წევრებს გავუგზავნით. მათ წინადადებებსაც არ დავტოვებთ უყურადღებოდ. მერე ასლებს ფიფასა და უეფაში გავაგზავნით. ყრილობისთვის მზადებასაც დავიწყებთ და მალე ახალი წესდებით გავაგრძელებთ მუშაობას.

***ვინსენ მონიე***

— კონსულტაციებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აქამდეც ვეხმარებოდით. არჩევნების შემდეგ ურთიერთობა არ შეგვიწყვეტია. ძველი წესდება ფიფა-უეფას მოთხოვნებს ვერ პასუხობდა და, როგორც იცით, ქართველებს მისი შეცვლა მოვთხოვეთ. სფფ-მ ყველაფერი კარგად შეასრულა. ახალ პროექტში ძირეული ცვლილებები მოხდა. გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ იგი სრულიად აკმაყოფილებს ფიფა-უეფას მოთხოვნებს. ჩვენ დღეს რამდენიმე საათი ვეცნობოდით ამ დოკუმენტს, გვქონდა დისკუსია და რამდენიმე შენიშვნაც მივეცით ფედერაციის ხელმძღვანელებს. ისინი შეგვპირდნენ, რომ ყველაფერს გაითვალისწინებენ.

მე და მარსელ ვენცს ბევრ ეროვნულ ასოციაციასთან გვაქვს ურთიერთობა და გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ასეთ მოკლე დროში მსგავსი პოზიტიური ცვლილებები იშვიათად მიგვიღია. ასე რომ, დღევანდელი დღით და სფფ-ის მიერ გაწეული მუშაობით კმაყოფილი ვარ.

***მარსელ ვენცი***

— ჩემს კოლეგას ბოლომდე ვეთანხმები. ფედერაციამ ჩვენი მოთხოვნები დააკმაყოფილა და ახალი პროექტიც სრულყოფილად შეადგინა. ცხადია, რამდენიმე შენიშვნა გვქონდა, თუმც ეს საგანგაშო არ არის. მთავარია, წესდება საქართველოს კანონმდებლობასაც შეესაბამებოდეს. იმედი მაქვს, ასეც იქნება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ვთხოვ, ერთი ასლი საქართველოს იუსტიციის სამინისტროსაც გაუგზავნოს, რათა მომავალში გაუგებრობა თავიდან ავიცილოთ. სასიხარულოა, რომ სფფ-მ ასე მოკლე დროში შეძლო მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება.

ჩემი გეგმები ამით არ ამოიწურება, მსურს, ქართულ კლუბთა ლიცენზირების საკითხიც განვიხილოთ. მოგეხსენებათ, 2004-05 წლების სეზონიდან ევროთასებზე ვერ ითამაშებენ კლუბები, რომელთაც ლიცენზია არ ექნებათ, ამიტომ საქართველოში ეს საკითხი უნდა დაჩქარდეს.

საქართველო — რუსეთის ჩაშლილ მატჩზე ვერაფერს გეტყვით, ჩემს კომპეტენციაში არ შედის. იმედი მაქვს, შესაბამისი ორგანოები ამ საკითხს მალე გაარკვევენ.

**ქახა შალამბერიძე**

# გადადებული გადაიდო

**ეროვნული** ჩემპიონატის მეხუთე ტურში „დინამოს" და „ლოკომოტივს" ეროვნულ სტადიონზე უნდა ეთამაშათ. მატჩი პირველ სექტემბერს იყო დანიშნული, მაგრამ ერთი დღით ადრე საშვეიცარიოდ მზადებას შეუდგა საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები. ჩივაძეს „დინამოდან" ბურდული ჰყავდა გამოძახებული, რკინიგზელთა ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი კი ვახტანგ კოპალეიშვილმა ახალგაზრდულ ნაკრებში იხმო, ამიტომ „დინამო" — „ლოკომოტივი" 23 ოქტომბრისთვის გადაიდო, მაგრამ ამ გუნდებს „ეროვნულზე" თამაში ოთხშაბათსაც არ უწერიათ. საქმე ის გახლავთ, რომ თბილისი 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებს მასპინძლობს. ტურნირი სამშაბათს იწყება და საამისოდ „ეროვნულიც" შეიგულეს, ამიტომ ფედერაცია იძულებული გახდა, „დინამო" — „ლოკომოტივი" კვლავაც გადაედო. მატჩის ჩატარების ახალ თარიღზე სფფ-ში მოგვიანებით იმსჯელებენ.

# წივწივაძემ სიონს მიაკითხა

**ფოთის „კოლხეთის"** ყოფილი ფორვარდი ჰამლეტ წივწივაძე, ვისაც თავის დროზე საქართველოს უმაღლეს ლიგაში თბილისურ „ლოკომოტივსა" და „არსენალში", ასევე ბოლნისურ „სიონშიც" უთამაშია, ისევ ქვემო ქართლს უბრუნდება და თემურ მახარაძის გუნდში აპირებს მოწყობას.

წივწივაძე „ფაზისიდან" მეცამეტე ეროვნულის დასრულების შემდეგ აიბარგა და კვიპროსის გზას გაუდგა. სასურველი კლუბის ძიებაში დრო გავიდა, ჰამლეტი იქ ვერ მოეწყო და აზერბაიჯანში წავიდა. ერთხანს კიროვაბადის „ქაფაზში" აგორავა ბურთი, მერე მამა გარდაეცვალა და რახან აზერბაიჯანულ ფეხბურთშიც არეულობაა, მაინცდამაინც არც პირობები იყო სახარბიელო, საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა.

ახალგაზრდა, ჯანიანი თავდამსხმელისთვის ბუცების კედელზე ჩამოკიდება ნაადრევი იყო, ამიტომ წივწივაძე გაკვალულ გზას დაადგა და ნაცნობ ადგილს მიაშურა.

წივწივაძე, ვისაც საქართველოს ჩემპიონატში სულ 70 გოლი გაუტანია, ამათგან 44 უმაღლეს ლიგაში, სადღეისოდ „სიონში", თემურ მახარაძესთან ვარჯიშობს და სავარაუდოდ სათამაშოდაც იქ დარჩება. მისი მისვლით ბოლნისურ კლუბში ძირითადში მოსახვედრად კონკურენცია კიდევ უფრო გამძაფრდება, მახარაძესაც საქმე ასარჩევად გაუხდება.

**გამუჩა ძვანტალიანი**

**გუშინ** საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის თბილისური შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ბოლო საკონტროლო მატჩი რეგიონული ლიგის „მაუდის" გაახალგაზრდავებულ შემადგენლობასთან ითამაშა და, ყველას გასაკვირად, 1:3 დამარცხდა. კოლალიძის გუნდიდან პრესტიჟისა ბურნაძემ შეაგდო. ცხრამეტწლამდელთა თავკაცმა ტრავმამოშუშებული ლაშა ჭელიძე და წელმტკივანი ანზორ კალაძე არ ათამაშა. ზაპოროჟიედან ჯერაც არ ჩამოსულა ირაკლი მოდებაძე, მაგრამ ფაქტობრივად „მაუდის" ფარმ-კლუბთან დამარცხება ძალიან დამაფიქრებელია.

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 16 ოქტომბერი. ჩვენი ჯგუფი

# აქ ხომ ჰიტლერიც დამარცხდა

**რუსეთი 4:1 ალბანეთი**

1:0 კერჟაკოვი (2), 1:1 დური (13), 2:1 სემაკი (41), 3:1 ონოპკო (51), 4:1 სემაკი (53)

**რუსეთი:** ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, სმერტინი, სემაკი, იანოვსკი, ონოპკო, გუსევი (ევსეევი 78), სოლომატინი, ლოსკოვი (ალდონინი 46), კერჟაკოვი (დ. ბობოვი 63)

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

**ალბანეთი:** სტრაკოშა, ჩიპი, ფაკაი, ჰასი, მურატი, დური, ფ. ვატა (სინა 59), ლალა, ჰაჯი (ბუში 55), ჯუპმა, ტარე (მურტაი 69)

მწვრთნელი: ჯუზეპე დოსენა

მსაჯი: ლეიფ სუნდელი (შვედეთი)

15 000 მაყურებელი

**ჩვენებისთვის** თბილისში თამაშის დასრულების შანსი რომ მიეცათ, ახლა ცხრა ქულა გვექნებოდა — რუსული პრესის ასეთი პათოსი გასაგებია, გაზაევის გუნდმა მოსკოვში ჩინებულად დაწყებული საქმე ვოლგოგრადშიც წარმატებით გააგრძელა, არცთუ ხელწამოსაკრავ ალბანეთს დიდი ანგარიშით მოუგო. ირლანდიის მსგავსად, რუსებმა ალბანელებსაც ოთხი გოლი გაუტანეს და არცთუ უსაფუძვლოდ ჯგუფის ფავორიტობაზე აჭიკჭიკდნენ.

ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატისას ჯუზეპე დოსენა პარაგვაის ნაკრების იტალიელი თავკაცის, ჩეზარე მალდინის დამხმარე იყო, ზაფხულში კი ჯუჯა ანდორასთან შერცხვენილი ალბანეთის ნაკრები ჩაიბარა და გუნდს უმალ დაეტყო გამოცდილი სპეციალისტის ხელი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დოსენა 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონია და გამოჭრილი კაცია ფეხბურთში.

ალბანელები შვეიცარიასთან გაგორებულები ფრით გულმოცემულნი ჩავიდნენ ვოლგოგრადში, თუმც დოსენა ფრთხილობდა — ვინც თავზეხელაღებულმა შეუტია რუსეთს, ნაპოლეონის და ჰიტლერის ჩათვლით, ყველამ ძვლები დატოვა რუსულ მიწაზე, ამიტომ დაცვიდან ვითამაშებთ და ფრეს თუ გავახერხებთ, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნებაო.

გაზაევმა თბილისური შემადგენლობიდან მხოლოდ ბესჩასტნიხი ამოაგდო და მის ნაცვლად კერჟაკოვი ჩასვა ძირითად შემადგენლობაში. გეორგიევიჩმა ათიანში გაარტყა, კერჟაკოვმა შოკური დებიუტი მოუწყო ალბანელებს და მესამე წუთზე ანგარიში გახსნა გუსევის მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოში ჩაკიდული პასის შემდეგ.

ასეთი დასაწყისის შემობრუნება რუსის მოედანზე ალბანეთზე ბევრად სახელიან გუნდსაც გაუჭირდებოდა, მაგრამ დოსენას ბიჭებმა ნაპოლეონიც დაივიწყეს, ჰიტლერიც და კიდევ ბევრი რამ, ისე თავგამოდებით შეუტიეს. ალბანელები სველ მოედანზე კარგად აკონტროლებდნენ ბურთს, პასებსაც დროულად ანაწილებდნენ და ფლანგებიდან მწვავედ იჩხვლიტებოდნენ. მე-13 წუთი იყო, ონოპკო თავის კარიდან 25 მეტრში რომ შეცდა და ჯარიმა აიკიდა. ბურთთან კლოდიან დური მივიდა და სველ გაზონზე მოხდენილად გააცურა ბურთი. ოვჩინიკოვიც შეცდა, რადგან ახლო კუთხე ვერ დაფარა — 1:1. ვოლგოგრადის ცალტრიბუნა სტადიონზე (მეორეს არემონტებენ) შეკრებილ ქომაგთან ერთად მასპინძელი ფეხბურთელებიც დაიშოკნენ და რუსთა დაბნევის იმ 15-წუთიან მონაკვეთში ალბანელებს მეტი ფხა რომ გამოეჩინათ, უთუოდ დაწინაურდებოდნენ. მერე კი რუსეთი გონს მოეგო, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა, არმიელმა სემაკმა თავისიანები აიყოლია და გაზაევის გუნდი გეგმაზომიერად მიაწყდა ალბანელთა კარს. სემაკმა ჯერ მახვილი კუთხიდან დაუქუხა სტრაკოშას, მაგრამ მეკარემ მუშტით შეძლო ბურთის მოგერიება, მალე ცსკა-ს კაპიტნის დარტყმულმა ზარიხას გაუზუზუნა, მესამედაც აუცდა სემაკს მიზანი. არადა, იმ ეპიზოდში კარის ჩარჩოში რომ მოხვედრილიყო ბურთი, სტრაკოშა უძლური იქნებოდა. მიუხედავად ამისა, რუსეთს ნერვული მეორე ტაიმი ელოდა ალბანეთს პირველ 45 წუთეულში რომ გაეძლო, შესვენებამდე 4 წუთით ადრე სემაკმა თავისი გაიტანა. არადა, აქამდე წუთით ადრე ალბანეთს უნდა შეეგდო, იგნაშევიჩი შეცდა და საკუთარ საჯარიმოში ლალას ჩააბარა ბურთი, თუმც მას თავგანწირული ნახტომით ოვჩინიკოვი ჩაუწვა და თავისიანები იხსნა.

სემაკის გოლი კი ლასკოვის ზუსტ გადაცემას მოჰყვა, პარტნიორის დაზვეწილი პასის შემდეგ სემაკს არ გასჭირვებია სტრაკოშას გაცურება.

შესვენებაზე „მალადცის" ძახილით გააცილეს გაზაევის გუნდი, იმ წუთში ეჭვი არავის შეპპარვია, რომ ალბანელთა საქმე წასული იყო.

რუსეთმა მატჩის განახლებიდან 9 წუთში მოამთავრა საქმე. ჯერ „ბებერ" ონოპკოს დაუფასდა გარჯა, გუსევის კუთხურისას თავით რომ დაამწუხრა სტრაკოშა, მერე კი სემაკმა გაიბრწყინა — თავისი საჯარიმოს სიახლოვეს შემცდარი ჯუმბა გააცურა და ლამაზი მოჭრილი დარტყმით მეკარისგან მორეულ კუთხეში შეაფრინა ბურთი — 4:1.

დარჩენილ ნახევარ საათში რუსეთს მხოლოდ ბურთების უკეთეს სხვაობაზე ფიქრილა მოუხდა, თუმც მეტის გაკეთება ველარ მოახერხეს ულვაშას დამოძღვრილებმა, არადა, მომენტები ბლომად შექმნეს. განსაკუთრებით შეცვლაზე შესულ ალდონინს არ გაუმართლა, გასატანი კერჟაკოვს და პოპოვსაც ჰქონდათ.

***ჯუზეპე დოსენას*** მატჩის შემდეგ ნათქვამი ეგებ ალექსანდრე ჩივაძისთვისაც საყურადღებო იყოს: „პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ სამწუთეულმა გაგვტეხა, ორი შეცდომა წაგებად დაგვიჯდა. თამაშისთვის სერიოზულად ვემზადებოდით. რუსეთი ძლიერი გუნდია და მასთან დამარცხება ყურებს არ ჩამოგვაყრევინებს. ალბანეთი პატარა ქვეყანაა და ჯერაც ბევრი აქვს საომარდასამტკიცებელი. სასწავლი, ბევრი გვაქვს და შრომას არ დავიზარებთ. მომდევნო მატჩებში თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ".

***ვალერი გაზაევმა*** თავისიანები შეაქო: „მიუხედავად ცუდი ამინდისა, გუნდი კარგად, გააზრებულად გაისარჯა. მეტიც, ბრწყინვალედ ვითამაშეთ. გამოვყოფ ფეხბურთელთა სწორ მოძრაობას და ტაქტიკურ განსწავლულობას, მატჩის შედეგი სავსებით კანონზომიერია. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა სემაკმა, ონოპკომ და სმერტინმა კი კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ გუნდის ლიდერები არიან. ნაკრების შენების პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და, იმედი მაქვს, შესარჩევ ეტაპს წარმატებით დავძლევთ".

**ბაადა ძვანტალიანი**



ფატმირ ვატა და გენადი ნიჟეგოროდოვი (№2)

REUTERS ფოტოლენტიდან



ირლანდიელი კენი კანინგემი ალექს ფრეის ფეხზე დააჯდა

REUTERS ფოტოლენტიდან

# ირლანდია გაბრაზებული იუწყება

## გარდაიცვალა მიკ მაკარტი

**ირლანდია 1:2 შვეიცარია**

0:1 ჰ. იაკინი (45), 1:1 მანინი (77ა.კ.), 1:2 სელესტინი (87)

**ირლანდია:** გივენი, კელი, ჰარტი (დოჰერტი 87), კანინგემი, ბრინი, ჰოლანდი, ჰელი, კინსელა, დაფი (ბატლერი 82), კინი, კილბეინი (მორისონი 62)

მწვრთნელი: მიკ მაკარტი

**შვეიცარია.** შტილი, ჰასი, მანინი, მიულერი, მ. იაკინი, ფოგელი, კაბანასი, ვიკი (კანტალუპი 85), ფრეი (ტური 71), ჰ. იაკინი (სელესტინი 85), შაპუიზა

მწვრთნელი: იაკობ კუნი

მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)

35 000 მაყურებელი



**მსოფლიოს** ჩემპიონატის მერე ირლანდიელთა მიერ გმირად შერაცხული მიკ მაკარტი ნაშვეიცარიევს ჟურნალისტებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. ევრო 2004-ის შესარჩევ ციკლში რუსეთთან 2:4 მარცხი ირლანდიელებს ხეირიანად მონელებულიც არ ჰქონდათ, რომ „სამყურებმა" შვეიცარიის არცთუ ძლიერ ნაკრებთან ჩამოყარეს ყურები. მუნდიალზე წარმატებული თამაშის ფონზე ეს ბევრისთვის სიურპრიზია, თუმც ირლანდიელთა დაბეჩავებაზე ისიც კარგად მეტყველებს, რომ მეორე ტურის შემდეგ მიკ მაკარტის შეგირდები სატურნირო ცხრილში ნული ქულით „იწონებენ თავს".

„ჩუმად, მკვდარი კაცი მოდის" — ასე გამოეხმაურა მატჩს ირლანდიური გაზეთი „IRISH TIMES". „მკვდარი კაცის" როლის შემსრულებლის გამოცნობა ალბათ არ გაგიჭირდებათ...

„როგორ უნდა გააგრძელოს მან მუშაობა? ნუთუ ასეთი განწირული და უსუსური ტაქტიკური ჩანაფიქრით აპირებს წარმატების მიღწევას?!" — კითხულობს „IRISH MIRROR" და პასუხსაც თავად პოულობს: მაკარტი უნდა წავიდეს!

თუმც აბა, თავად მიკ-მაკს ჰკითხეთ. „არსადაც არ წავალ. კონტრაქტით ჯერაც ირლანდიის ნაკრებში ვმუშაობ" — განაცხადა ირლანდიელთა თავკაცმა.

გაზეთებს მხარი გულშემატკივრებმაც აუბეს. მათი აზრით, დადგა დრო, ნაკრებში ახალი ხალხი მივიდეს, მაკარტიმ კი შესაძლებლობები უკვე ამოწურა.

ბუქმეიკერმა პედი პოუერმა კი უკვე ფსონების მიღება დაიწყო. პოუერმა შანსები ასე გაანაწილა: ინგლისური „ლიდსის" ყოფილი თავკაცი დევიდ ოლირი — 2-1; შოტლანდიური „სელტიკის" მწვრთნელი მარტინ ონილი — 3-1 და ირლანდიურ ფეხბურთში ღრმად ჩახედული, როი კინის სკანდალურ-ავტობიოგრაფიული წიგნის ავტორი იემონ დანფი — 500-1.

ახლა ორიოდ სიტყვა თავად მატჩზეც ვთქვათ. შვეიცარიელებმა მთელი 90 წუთის მანძილზე აღმავლობით ითამაშეს და სოლიდურ უპირატესობასაც ფლობდნენ. სტუმრები სტადიონზე შეკრებილ 35 ათას მაყურებელსაც არ შეუშინდნენ და იმდენად დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ, რომ ალბათ თავადაც უკვირდათ.

სათქმელია ისიც, რომ იაკობ კუნის შეგირდებს იღბალმაც კეთილი მზერით გადახედა. ტაიმის დასრულებას წამები აკლდა, ჰაკან იაკინმა საგოლედ რომ მოიქნია. ვერ ვიტყვით, „სამყურები" ამ გოლმა გატეხაო, თუმც გვარიანი დრო რომ დახარჯეს გასათანაბრებლად, ფაქტია. ბოლოს მათ წვალებას სტუმარმა ლუდოვიკ მანინმა „ვერ გაუძლო" და საკუთარი კარი დალაშქრა.

მასპინძლებიც გადამწყვეტი შტურმისთვის მოემზადნენ, თუმც ბევრსაც ვერაფერს გამორჩნენ. მატჩის მიწურულს კი იაკობ კუნის სამწვრთნელო ალღომაც იჩინა თავი და მოედანზე ორი წუთის შესულმა ფაბიო სელესტინიმ გამარჯვებისა შეაგდო. საინტერესოა, რომ შვეიცარიელთა თავკაცმა სელესტინი მთავარმეგოლე ჰაკან იაკინის ნაცვლად შეუშვა მინდორზე. დარჩენილ დროში კი მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. სტუმრებმა უპირატესობის შენარჩუნება შეძლეს და მეათე ევროშესარჩევ ჯგუფსაც სათავეში მოექცნენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:3 | 6 |
| ალბანეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| ირლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

**ქახა ზალამბერიძე**

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 16 ოქტომბერი



მალტა — საფრანგეთი. ტიერი ანრიმ (№12) თუ გაიწია, ორი კაციც ვერ დაიჭერს

# პატივნაცემნი

I ჯგუფი

**მალტა 0:4 საფრანგეთი**

0:1, 0:2 ანრი (25, 36), 0:3 ვილტორდი (59), 0:4 კარიერი (84)

მალტა: მუსკატი, საიდი, კარაბოტი, დებონო (მიგელ მიფსუდი 88), ჩუტკუტი, დიმეში, გიგლიო, ბრინკატი (მალია 70), აგიუსი, მიხაელ მიფსუდი, ნვოკო (დ. ბოგდანოვიჩი 46)

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი (მექსეში 86), დესაი, გალასი, სილვესტრი, ვიეირა (დაკური 70), მაკელელე, ვილტორდი, ზიდანი, ანრი (კარიერი 78), მარლე

მსაჯი: დან-ალექსანდრუ ტუდორი (რუმინეთი)

12 000 მაყურებელი

**მალტის ნაკრებისთვის** თავისთავად დიდი პატივია საფრანგეთის ნაკრებთან თამაში. ცხადია, მასპინძლები გამარჯვებაზე არც კი ოცნებობდნენ და თუ ოცნება მაინც გაბედეს, ალბათ ფრეზე.

ოცდამეოთხე წუთამდე იყო კიდეც ფრე, მაგრამ მერე კარგად დაჭოჭილ ჟაკ სანტინის ნაკრებს მალტა დანებდა.

ჯერ სილვენ ვილტორდის ჩაწოდებული, ტიერი ანრიმ მუსკატის კარში შეაბრძანა, შემდეგ ისევ მეთოფე ლონდონურმა წყვილმა ივარგა. ვილტორდი-ანრის გარღვევა მეორე გოლით დასრულდა. ტაიმის დასრულებამდე ზინედინ ზიდანსაც შეეძლო გატანა, მაგრამ ძელმა მალტელები გასამებისგან დროებით იხსნა.

მეორე ნახევარში ტიერი ანრის ჰეთ თრიკის გაფორმებაც შეეძლო, თუმც ზიდანის მსგავსად მის დარტყმასაც ხარიხა გამოეხმაურა.

ანრის ასისტენტმა ვილტორდმა მესამე შეაგდო, ხოლო შეხვედრის მიწურულს ერიკ კარიერიმაც შეიგრძნო სანაკრებო გოლის გემო.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ისრაელი — კვიპროსი**

**30 აპრილს გაიმართება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:1 | 9 |
| ისრაელი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სლოვენია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | 0 |

# სამი გოლი, სამივე ბარათი

## ყველაფერი გერას ბრალია

IV ჯგუფი

**უნგრეთი 3:0 სან მარინო**

1:0, 2:0, 3:0 გერა (49, 61, 87)

უნგრეთი: კირალი, ჩ. ფებერი, დრაგონერი, ჟურბანი, დიებეში, დარდაი (მ. ფებერი 77), ლისტეში (მირიუტა 85), ლიშჩი, ლიოდი, ა. ტოკოლი, კენეში (გერა 46)

სან მარინო: გასპერონი, ჯენარი, ვალენტინი, გობი, ალბანი, ბაჩოკი, მარანი (ძანძინი 84), მუკიოლი (მონტანა 73), ფ. სელვა, ჯანუძი, ლ. მორეტი (რ. სელვა 55)

მსაჯი: გილი ტორ ორაონი (ისლანდია)

8 000 მაყურებელი

**შვედებთან** გაგორებული ფრის შემდეგ უნგრეთმა 3:0 მოუგო სან მარინოს და მეოთხე ჯგუფს სათავეში მოექცა. მადიარებმა ლატვიელებს ბურთების უკეთესი სხვაობით გადაუსწრეს.

მატჩის პირველი ნახევარი უგოლოდ დასრულდა და გამოსარჩევიც არაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ სანმარინოელებმა კარი მშრალად შეინახეს. ეს კი სტუმრებმა უნგრელთა უზუსტობითა და მეკარე გასპერონის კარგი თამაშით მოახერხეს.

მეორე ტაიმში უნგრელთა თავკაცმა იმრე გელეიმ შვედებთან გოლის გამტან კენეშის ნაცვლად მოედანზე „ფერენცვაროშის" ფორვარდი ზოლტან გერა შეიყვანა და ვფიქრობთ, არც უნანია. მოედანზე გასვლიდან ოთხ წუთში გერამ უნგრელები წინ გაიყვანა, თექვსმეტიოდე წუთში კი დუბლის ავტორი გახდა.

სტუმრებმა რომ შეატყვეს, მეტოქეს თამაშით ვერ ვაჯობებთო, უხეშობა დაიწყეს და სამი ყვითელი ბარათიც მიიღეს. გაფრთხილებების შემდეგ სან მარინო დაწყნარდა, უნგრეთმა კი შეტევა გააგრძელა და მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე გერამ თავურით გასპერონს მესამე გაუტანა.

თამაშის შემდეგ გელეი აღფრთოვანებული იყო გერას თამაშით: „იგი შესანიშნავი ფეხბურთელია და ეს გამარჯვებაც მისი წყალობით დავიმსახურეთ. შვედებთანფრის შემდეგ ჩემმა ბიჭებმა დიდებულად ითამაშეს."

არც მატჩის გმირი გერა იყო უხასიათოდ: „მეორე ტაიმში მთელი გუნდი შევიკარით და გოლიც გავიტანეთ, რის მერეც გამარჯვება არ გაგვჭირვებია."

**ლუკა გეგეჭკორი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ლატვია | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| შვედეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

# ნაცნობი სიმღერა

## რატომ გაგვწირე მსაჯო

II ჯგუფი

**ნორვეგია 2:0 ბოსნია**

1:0 ლუნდეკვამი (6), 2:0 რიისე (27)

ნორვეგია: ოლსენი, ბერგდოლმო, ლუნდეკვამი, ბერგი, ბასმა, ივერსენი, ანდერსენი (ლარსენი 89), ლეონარდსენი (კარეუ 64), ბაკე, სოლსკიაერი (როშელდეტი 89), რიისე

ბოსნია: ტოლია, ბოსნიაკი (მუიჩინი 64), ბაბაჩი, ბიბიჩი, ბაირამოვიჩი, კონჯიჩი, მუსიჩი, საგიჩი (მურიჩი 56), გრუიჩი, სალიჰამიჯიჩი (ბიშკოვიჩი 84), ბალიჩი

მსაჯი: მიხალ ბენეში (ჩეხეთი)

16 000 მაყურებელი

**ოსლოში** ნორვეგიელებმა თავის ისტორიაში მე-100 გოლი გაიტანეს, ეს გოლი საუთჰემპტონელმა კლაუს ლუნდეკვამმა მე-6 წუთზე შეაგდო, როდესაც მან ჰენინგ ბერგის თავურ პასს ორიოდ მეტრიდან მკერდით სწორი მიმართულება მისცა.

ვიკინგთა გოლების ათვლა შორეული 1908 წლიდან იწყება, როდესაც მეზობელ შვედებთან, რომელთა ბატონობასაც ნორვეგიელებმა 1905 წელს დააღწიეს თავი, 3:11 წააგეს. მას შემდეგ მათ 662 შეხვედრა ჩაატარეს და 663-ე თამაშში საიუბილეო გოლიც გაიტანეს.

მეორე გოლი 27-ე წუთზე გავიდა. ასევე პრემიერლიგელმა იონ არნე რიისემ ოცი მეტრიდან საჯარიმო ჩვეულად, ძლიერად დაარტყა და გოლად აქცია. რაც შეეხება ბალკანელებს, მათ ერთადერთი ღირებული მომენტი მეორე ნახევარში შექმნეს, როცა „გალათასარაის" ფორვარდი ელვირ ბალიჩის მზაკვრული დარტყმა მეკარე ოლსენმა უკუაგდო.

შეხვედრის შემდეგ ნორვეგიელთა დამრიგებელმა ნილს იოჰან სემბიმ ხოტბა შეასხა შეგირდებს, დანიასთან 2:2-ის მერე ბიჭებმა შეძლეს და ჯერ გასვლაზე კრეკეტ რუმინეთის ნაკრებს მოუგეს, დღეს კი ძნელად დასამარცხებელ ბოსნიელებს პირველ წუთებზევე მოუთავეს საქმე.

ბოსნიელთა მწვრთნელი ბლაზ სლისკოვიჩმა ნორვეგიელი ფეხბურთელები კი აქო და მათ გამარჯვებას ღირსეული უწოდა, მაგრამ ორივე გოლი ჩეხი მსაჯის მიხალ ბენეშის შეცდომებს დააბრალა. პირველი გოლისას, ჰენინგ ბერგის თავური პასი ნორვეგიელთა ერთ-ერთ ფეხბურთელს მოხვდა ხელზე, მეორე გოლი კი მსაჯის მიერ უტიფრად დანიშნულ საჯარიმოს მოჰყვაო.

**ლუქსემბურგი 0:7 რუმინეთი**

0:1, 0:2 მოლდოვანი (2, 6), 0:3 რადოი (25), 0:4, 0:5 კონტრა (45, 47), 0:6 გიოანე (79), 0:7 კონტრა (87)

ლუქსემბურგი: ბესიჩი, ფეროინი, დევილი, ჰოფმანი, შტრასერი, რემი, რეიტერი, ჰოლცი (როზანი 75), ლევაკი, კარდონი (შნაიდერი 59), ბრაუნი (მუსი 71)

რუმინეთი: ლობონტი, კონტრა, რადოი, რატი, მიუ ჰოჯკე, კოდრია (გიოანე 36), მუნტიანუ, მოლდოვანი (ნიკულესკუ 69), ილიე, განეა (ბანჩუ 46)

მსაჯი: რომანს ლაიუკსი (ლატვია)

2 056 მაყურებელი

**რუმინეთმა**, რა საკვირველია, ლუქსემბურგს მოუგო. თუმც რატომ ვამბობთ ასე დარწმუნებით, ინგლისსაც ხომ უნდა დაემარცხებინა მაკედონია, მაგრამ მაინც...

მსაჯმა მატჩის დაწყების ნიშნად ჩასტვინა და სტუმართა შტურმიც დაიწყო, რომელიც ბოლო წუთამდე არ შეწყვეტილა. ვიორელ მოლდოვანმა მეორე წუთზევე გაიტანა პირველი გოლი, ოთხი წუთის მერე კი მეორეც ჩააჭედა.

სტუმართა გამთამაშებელი დორინელ მუნტიანუ ჭკვიანურად ანაწილებდა პასებს, რომლებსაც მასპინძლებმა ალღო ვერ აუღეს და მუნტიანუს ყოველი გადაცემა საფრთხეს ქმნიდა.

მესამე გოლი მირელ რადოიმ შეაგდო, რის მერეც კოზმინ კონტრას ჰეთ თრიკის ათვლის ჯერიც დადგა. შესვენების მერე რუმინელებმა ფლანგების უფრო აქტიურად გამოყენება გადაწყვიტეს, რამაც მთლად აუბნია თავგზა ლუქსემბურგელებს. კონტრასა და რაზვან რატის შეჩერების ხერხს ვერაფრით მიაგნეს.

ამგვარად, ლუქსემბურგელებს ბოლო სამ მატჩში ბურთების საშინელი შეფარდება აქვთ — 0:14. ამ გოლებიდან ცხრა, შესარჩევ ციკლში გაუშვეს, ხუთიც წინა თვეში ებრაელებთან ამხანაგური მატჩისას.

**ზურაბ რუხაძე** ~~

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 10:1 | 6 |
| დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ბოსნია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:9 | 0 |

# ამას ამბობდა ადვოკაატი

III ჯგუფი

**ავსტრია 0:3 ჰოლანდია**

0:1 ზეედორფი (16), 0:2 კოკუ (19), 0:3 მაკაი (30)

ავსტრია: მანინგერი, დოსპელი, ბაური, ჰიდენი, ვაგნერი, შოპი, ჩერნი, ფლოგელი, ვალნერი (მორნერი 80), ჰერცოგი (ოუფმაუზერი 46), კაისერბაუერი (აკაგიუნდუზი 77)

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რიკერი, სტამი, ფ. დე ბური, ზენდენი (ბუმა 68), ვან ბომელი (რ. დე ბური 77), ზეედორფი, კოკუ, დავიდსი, კლუივერტი, მაკაი (ჰასელბაინკი 80)

გაძევება: ჰიდენი (78)

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

46 300 მაყურებელი

**კლარენს ზეედორფმა**, ფილიპ კოკუმ და როი მაკაიმ ნახევარ საათში აასრულეს თავისი მწვრთნელის, დიკ ადვოკაატის მატჩისწინა დანაქადნი, ავსტრიელებს ერთ ლუკმად გადავყლაპავთო.

მასპინძლებს მეორე ტაიმშილა ჰქონდათ რამდენიმე კარგი საგოლე მომენტი, მაგრამ თავადაც იცოდნენ, რომ ძალიან გვიან იყო. ამასთანავე, ბოლო თორმეტი წუთი მათ კაცნაკლულებმაც ჩაატარეს, რაკი მარტინ ჰიდენი ძიძგილაობისას მეორე ყვითელ ბარათს გამორჩა.

რა მეთქმის, მეტოქემ დამსახურებულად დაგვამარცხა, მართლაც უმაღლესი კლასის გუნდიაო, დაიჩივლა ნამატჩევს ავსტრიელთა დამრიგებელმა ჰანს კრანკლმა, დიახ, ჩემი ფეხბურთელები ზედმეტად შებოჭილები იყვნენ და ჰოლანდიელთა გადამეტებული რიდი ჰქონდათ, მაგრამ ბიჭებზე აუგს მაინც ვერ ვიტყვი, ამაზე მეტს ვერც გააკეთებდნენო.

29 მარტს ჰოლანდიელები ჩეხებს მასპინძლობენ და ეს თამაში ეგებ მთავარიც იყოს ამ ჯგუფის ყველა მატჩს შორის. თუ რატომ, ცხრილს ჩახედეთ და მიხვდებით.

**ჩეხეთი 2:0 ბელარუსი**

1:0 პობორსკი (7), 2:0 ბაროში (23)

ჩეხეთი: ჩეხი, ღრანეკი (გრიგერა 86), ბოლფი, ოუჯდოლუში, იანკულოვსკი, პობორსკი, როსიცკი (იაროშიკი 90), გალაშეკი, ნედვედი, კოლერი (ვახოუშეკი 56), ბაროში

ბელარუსი: ტუმილოვიჩი, ისპკოვიჩი (ლავრიკი 26), შტენიკი (ომელიანჩუკი 46), შტანიუკი, ხრაპკოვსკი, გურენკო, ხაცკევიჩი, ბლები (რინდიუკი 69), კულჩი, კუტუზოვი, რომაშჩენკო

მსაჯი: ჰელმუტ ფლაიშერი (გერმანია)

12 500 მაყურებელი

**ბრწყინვალე** ფორმაში მყოფმა ლივერპულელმა მილან ბაროშმა ბელარუსებს ერთი გოლი თავად გაუტანა, ერთიც საგოლე გადაცემა გააკეთა. ბაროშმა, რომელსაც ორ კვირაში 21 წელი უსრულდება, კარგ ზიციაზე გაიყვანა ვეტერანი კარელ ბორსკი და ოდინდელმა მანჩესტერელმაც თავზე გადაუგდო ბურთი ბელარუსთა კარის დარაჯ გენადი ტუმილოვიჩს. თავად ბაროში ორ მცველს გასცდა და ისე გაიტანა. რა გასაკვირია, რომ ბაროში მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ცნეს.

„ვფიქრობ, რიგიანად ვითამაშეთ და სადავეები ერთი წუთითაც არ გაგვიშვია ხელიდან. კარელის გოლი კი ბურთის ფლობის საუკეთესო ნიმუში იყო" — თქვა მერე ბაროშმა.

ჩეხებმა მეორე ტაიმში ისე ითამაშეს, მათი მეკარე პეტრ ჩეხი სულ მთლად უსაქმოდ იყო დარჩენილი. მან ხუთ დღეში ჩატარებულ ორ მატჩში მშრალად შეინახა თავისი კარი — შაბათს ჩეხმა მოლდოველებს არ გაატანინა.

„პირველ ტაიმშივე შეგვეძლო სამი-ოთხი გოლის გატანა და მეორე ტაიმის ფორმალობად ქცევა" — თქვა პრესკონფერენციაზე ჩეხთა თავკაცმა კარელ ბრუკნერმა.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| ჩეხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ავსტრია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| ბელარუსი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | 0 |



ავსტრია — ჰოლანდია. ბუდევენ ზენდენი მარკუს შოპის (№6) ამ ნახტომს მოერიდა

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 16 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარატეს გაკვეთილი

## შვიდი წუთით ადრე გერმანია უნდა შეძრულიყო

V ჯგუფი

**გერმანია 2:1 ფარერები**

1:0 ბალაკი (23), 1:1 ფრიდრიხი (45პკ.), 2:1 კლოზე (59)
გერმანია: კანი, ფრიდრიხი, რამელო (ფრაიერი 46), ვოერნსი, შნაიდერი (კელი 87), იერემისი, ჰამანი, ფრინგსი, ბალაკი, იანკერი (ნოივილე 69), კლოზე
ფარერები: მიკელსენი, იოჰანესენი, ი. ჰანსენი, მ. ტორსტეინსონი, ჟ. იაკობსენი, ბორგი (ელტოური 71), ჟ. იონსონი, ბენიამინსენი, ე. ჰანსენი, ჟ. პეტერსენი (მ. პეტერსენი 87), ფლოტუმი (კ. იაკობსენი 78)
მსაჯი: დანი კორენი (ისრაელი)
36 000 მაყურებელი

**ჰანოვერში** შეკრებილი ბუნდესლიგულშემატკივრები ბუნდესნაკრებისგან დიდი ანგარიშით გამარჯვებას ელოდნენ. ელოდნენ ამაოდ, რადგან ფარერის კუნძულელი სტუმრები ფეხბურთის სათამაშოდ ჩავიდნენ გერმანიაში და არა სასეირნოდ.

თუმც პირველივე წუთზე სტუმართა მცველმა იოჰანესენმა „ადამიანი კვერცხი", ანუ კარსტენ იანკერი საჯარიმოში დასცა. ნიშნულთან მიხაელ ბალაკი მივიდა და მიკელსენს გაუტანა კიდეც. ამის მეტი მასპინძლებს შესვენებამდე აღარ უცოდნიათ.

სამაგიეროდ, „ივაჟკაცა" „ჰერტას" მცველმა არგე ფრიდრიხმა. შესვენების მაუწყებელ სასტვენს აღარა უკლდა, როცა სტუმართა კონტრშეტევა იაკობ ბორგმა მარჯვენა ფრთიდან გააგრძელა და კანის საჯარიმოში ჩაჰკიდა. ფრიდრიხმა კანს ისეთი აუღებელი დაურტყა, რომ მეკარე არც განძრეულა.

მეორე ნახევარი მასპინძელთა გიჟური იერიშებით დაიწყო. ბალაკმა ძელს გაარტყა და გოლიც ამ მომენტიდან ხუთიოდ წუთში გავიდა. მიროსლავ კლოზემ შეცვლაზე შესული ფრაიერის პასი შეირგო და ჩვეულად, თავური დარტყმით გამარჯვებისა შეაგდო.

ცხადია, მასპინძლები ამით არ დაკმაყოფილდებოდნენ და დარჩენილი დროც სტუმართა ნახევარზე გაატარეს, მაგრამ ფარერელებმა მრისხანე მეტოქესთან საპატიო ანგარიშით დამარცხება გაიხერხეს. ეს კი არა, ფარერელ ნახევარმცველს შეხვედრის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინა, გერმანიიდან ქულასაც წაიღებდნენ — ბურთი ძელს გაეხახუნა და მოედანი დატოვა.

რუდი ფიოლერი: „მეტოქემ, ჩემთვის მოულოდნელად, გამართული ფეხბურთი აჩვენა. ბევრი მომენტი შევქმენით, მაგრამ სტუმართა დაცვა საკმაოდ თავდადებით იბრძოდა. მართალია, დასანანი ავტოგოლი გავუშვით, მაგრამ ამას ბიჭებზე დამთრგუნველად არ უმოქმედია."

ფარერელთა დანიელი მწვრთნელი ჰენრიკ ლარსენი კი, ცხადია, ნამატჩევს თავისი გუნდის გმირობაზე ლაპარაკობდა და საამისოდ მიზეზიც ჰქონდა.

**ისლანდია 3:0 ლიტვა**

1:0 ჰელგუსონი (49), 2:0, 3:0 გუდიონსენი (61, 73)
ისლანდია: არასონი, ბ. ტორსტეინსონი (ბ. გუდიონსონი 37), ინგიმარსონი, ჰრეიდარსონი, ვიდარსონი, გუდნასონი, გუნარსონი, სტიგსონი (ვინარსონი 65), ი. გუდიონსონი (სიგურდსონი 78), გუდიონსენი, ჰელგუსონი
ლიტვა: სტაუჩე, ჟიოვკშტასი, გლევეცკასი, შვეგრლა, სტანკევიჩიუსი, ჩესნაუსკისი, რაგანაუსკასი, მიკალაიუნასი, ბარასა, ფომენკა, პოშკუსი
გაძევება: ჩესნაუსკისი (21)
მსაჯი: გჟეგოჟ გილევსკი (პოლონეთი)
3 500 მაყურებელი

**მატჩის** მთავარი ამბავი პირველი ტაიმის მეოცე წუთზე მოხდა. მოედნის ცენტრში მეტოქე ფეხბურთელები შეიბნენ. სტუმარმა ჩესნაუსკისმა მასპინძელ ვიდარსონთან ორთაბრძოლაში აღმოსავლური ბრძოლის ილეთი გამოიყენა და ისლანდიელი ძირს დასცა. პოლონელმა მსაჯმა გჟეგოჟ გილევსკიმ ჩესნაუსკისის ილეთი დაიწუნა და მინდვრიდან წითელი ბარათის თანხლებით მიაბრძანა.

რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება მასპინძლებმა პირველ ტაიმში მაინც ვერ გარდასახეს გოლად, სამაგიეროდ, მეორე ნახევრის ოცდაოთხწუთიან მონაკვეთში სამი გოლი მიართვეს გინტარას სტაუჩეს. დუბლი მიითვალა „ჩელსის" ფორვარდმა ეიდურ გუდიონსენმა, ხოლო პირველი ჰელგუსონის ანგარიშზეა.

ისლანდიის ნაკრების მწვრთნელი ატლე ედვალდსონი: „პირველი გოლის შემდეგ დავმშვიდდი და მივხვდი, რომ თამაშს მოვიგებდით."

რაც შეეხება სტუმართა თავკაცს, მან პოლონელი არბიტრის გადაწყვეტილება უსამართლოდ მიიჩნია და წაგებაც მეტწილად მას გადააბრალა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| შოტლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ისლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ლიტვა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ფარერები | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |



ოლივერ კანის ღრიალი ცას მისწვდა

# ლიხტენშტაინს ქაბაბიც ეყოფა

## შაქირია თუ ფაქირი

VII ჯგუფი

**ინგლისი 2:2 მაკედონია**

0:1 შაკირი (11), 1:1 ბექჰემი (14), 1:2 ტრაიანოვი (25), 2:2 ჯერარდი (36)
ინგლისი: სიმენი, ნევილი, კემპბელი, ვუდგეიტი, კოული, ბექჰემი, სქოულზი, ჯერარდი (ბატი 56), ბრიჯი (ვასელი 59), ოუენი, სმიტი
მაკედონია: მილოშევსკი, სედლოსკი, რ. პეტროვი, ვასოსკი, ტოლესკი (შანდევი 63), ტრაიანოვი (სტოიანოვსკი 90), სუმოლიკოსკი, ა. მიტრესკი, შაკირი, რ. პოპოვი, გროზდანოსკი
გაძევება: სმიტი (90)
მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
32 095 მაყურებელი

**პირველი**, რაც სვენ გორან ერიკსონმა ნამატჩევს გაიხსენა, გერმანია და საბერძნეთი იყო. მაშინ, მუნდიალის შესარჩევ ციკლში ინგლისელებმა შინ წააგეს გერმანელებთან, მერე კი შვედის თავკაცობით ბერძნებთან მარცხს ბექჰემის გოლით გადაურჩნენ. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც პირველ ადგილზე გავიდნენ ჯგუფში.

ერიკსონი სულაც არ ფიქრობს, რომ მაკედონიასთან ფრით რაღაც კატასტროფა მოხდა.

„ჯერ ყველაფერი წინაა — ბრძანა ინგლისელთა მწვრთნელმა — მართალია, თურქეთის ნაკრები ასპროცენტიანი შედეგით პირველობს, მაგრამ ჩვენ ხომ თამაშით ნაკლები გვაქვს. მაკედონიასთან დაკარგული ორი ქულის ამოქაჩვა სწორედ მომდევნო მატჩში, გაზაფხულზე თურქეთთან მოგვიწევს. დასანანია, რომ საქმე გავირთულეთ, თუმც სიძნელეების გადალახვა გვჩვევია. გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. მეტწილად ჩვენ ვუტევდით, მაგრამ მაკედონიელთა მეკარე და დაცვა სასწაულებს სჩადიოდა. ბიჭებზე აუგს ვერ ვიტყვი, რადგან ისინი ბოლომდე დაიხარჯნენ. გვსურდა, სწრაფი გოლი გაგვეტანა. არ გამოვიდა. ორჯერ გათანაბრების შემდეგ დაწინაურება გვმართებდა. მეტოქეს ორად ორი მომენტი ჰქონდა და გამოიყენა, ჩვენ კი უამრავი გავაფუჭეთ."

სიმენის კარში პირდაპირ კუთხურიდან გატანილი პირველი გოლი უფრო მეკარის ასაკის ბრალი უნდა იყოს. ერიკსონის თქმით, იგი სიმენს არ ადანაშაულებს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე რონალდინიოს ზუსტი გასროლილი კი გაახსენდა. მაშინაც არსენალელი იდგა კარში და მაღალ ბურთს ვერ შესწვდა.

მეორე გოლი მასპინძელთა საჯარიმოში ჯერარდის შეცდომით დაიწყო. შაკირიმ მას ბურთი ააცალა და ძლიერად დაჰკრა. სოლ კემპბელმა საჯარიმოს წინა ხაზთან ვითომ მოიგერია, პასი კი გამოუვიდა. ტრაიანოვმა ბურთი მოიგდო და მოჭრილი დარტყმით მაკედონიელები კვლავ დააწინაურა.

სტივენ ჯერარდმა პირველი ტაიმის დასრულებამდე შეძლო გათანაბრება, როცა მცველი მოძრაობაზე დაიჭირა და მილოშევსკის მარჯვენა კუთხეში ბრწყინვალე გოლი გაუტანა.



ინგლისი — მაკედონია. სტივენ ჯერარდის ამ დარტყმას გოლი მოჰყვა

**თურქეთი 5:0 ლიხტენშტაინი**

1:0 ოკანი (7), 2:0 უმითი (14), 3:0 ილჰანი (23), 4:0, 5:0 სერჰათი (81, 90)
თურქეთი: რუშთუ, ემრე, ბიულენთი (ფათიჰი 46), უმითი, ალფაი, არიფი, ოკანი (უნსალი 60), თუგაი, ნიჰათი, ილჰანი (სერჰათი 79), ერგუნი
ლიხტენშტაინი: ჟილე ტელსერი, ჰელია, ჰასლერი, მიხაელ შტოკლასა, მარტინ შტოკლასა (მ. ბეკი 79), ნიგი (ბურგმაიერი 72), ბუჩელი (ოსპელტი 86), ტ. ბეკი, ფრიკი, გერსტერი
მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)
15 000 მაყურებელი

**თურქთა** ალლური გრძელდება, სამხრეთ კორეა, საქართველო, სლოვაკეთი, მაკედონია, ლიხტენშტაინი. ხუთი მატჩი — ხუთი გამარჯვება.

ლიხტენშტაინის დამარცხება მსოფლიოს მესამე გუნდს არ გაუჭირდებოდა და ასეც მოხდა. თხუთმეტ წუთში მასპინძლები უკვე სამბურთიანი სხვაობით იგებდნენ. ოქანის და დავალა უმითის დაწყებული საქმე ნაკრებში კვლავ დაბრუნებულმა ილჰან მანსიზმა გააგრძელა.

ამის შემდეგ თურქებს თავი ძალიან აღარ შეუწუხებიათ. საგოლე მომენტები კი ჰქონდათ, მაგრამ მატჩის ბოლო წუთებამდე ბურთი კარში არ შეფრინდა. ბოლოს სერჰათმა წყვილი გოლი შეაგდო და ოსმალები ხუთზე გაჩერდნენ.

რუსი მსაჯის მიერ წამატებულ დროში სტუმრებმა თერთმეტმეტრიანით პრესტიჟისა მაინც გაიტანეს, მაგრამ იური ბასკაკოვმა არ ჩათვალა, რადგანაც ლიხტენშტაინელის დარტყმული რუშთუმ მოიგერია, დამატებისას კი მეკარეზე თავდასხმა აღინიშნა.

ნამატჩევს თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებმა სტუმრები და მსაჯები ბანკეტზე მიიწვიეს და ქაბაბსაც გაჰკრეს კბილი.

19 წლის მანძილზე „ალი სამი იენიზე" ჩატარებული 17 მატჩიდან მასპინძლებმა 12-ში იმარჯვეს, ოთხჯერ წააგეს და ერთიც ფრე დაასრულეს.

მომდევნო ტურში თურქები სტუმრად სანდერლენდში ინგლისს ეწვევიან, მანამდე კი, ნოემბერში, იტალიას ამხანაგურად ეთამაშებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:1 | 9 |
| ინგლისი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| მაკედონია | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |
| სლოვაკეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

სპეციალიზირებული სალონ-მაღაზია
ბილიარდის
მაგიდები რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
1000 მეტი დასახელება
კიები, ბურთები, ნაჭრები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისაგან.
ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები, გარანტია
Zeus
ზევსი Biljardai
ტიტანი მასტერი
Master
saluc
☎ 95-57-75, 95-88-46
ქ. თბილისი, ჟვანიას ქ. 2

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 16 ოქტომბერი

# გადაფრენა სიმენზე

## დევიდ, მოირგე სათვალე!

**დევიდ სიმენი** ორმოცი წლისა სრულდება და უკვე სათვალე სჭირდება. ამის მიუხედავად, ის მაინც შეუცვლელად დგას „არსენალისა“ და ინგლისის ნაკრების კარში. სიმენის ძველი სისუსტე ცნობილია: შორიდან დარტყმული ბურთები არ უყვარს. თანაც, არა იმდენად დარტყმული, რამდენადაც, უბრალოდ კარის მიმართულებით წასული.

ასეთი გოლი მან პირველად სარაგოსელი ნაიმისგან გაუშვა თასების მფლობელთა თასის ფინალის ბოლო წუთზე, მაგრამ ეს იმდენად დიდი ხნის წინათ იყო, რომ მაშინ სიმენს ახალგაზრდაც კი ეთქმოდა.

დიტმარ ჰამანმა არცთუ მაღალი, მაგრამ მგონი უნტერ დენ ლინდენიდან დარტყმული გაუტანა მას ორი წლის წინათ, „უემბლის“ დახურვის დღეს. გერმანიამ ინგლისს ამ გოლით მოუგო, მაგრამ მაშინაც დევიდ სიმენს ამდენად არ სჭირდებოდა სათვალე.

ყველაფერი მსოფლიოს ჩემპიონატზე განახლდა: ბრაზილიელმა რონალდინიომ დღემდე ვერ თქვა, დაარტყმა თუ უბრალოდ ჩააწოდა, სიმენმა კი ბურთის მიმართულებას ალღო ვერ აუღო. ბრაზილიამ მოიგო.

პრემიერლიგა გახურდა და ბოლტონელმა გარეტ ფარელიმ გაბედა და „არსენალის“ საჯარიმოში ჩაკიდა. ჩაკიდვა გოლად იქცა, სიმენი კვლავ ვერ მიხვდა საით მიფრინავდა ბურთი. ჯანფრანკო ძოლამაც იგივე გააკეთა. სიმენსაც შესაბამისად იგივე დაემართა.

ოთხშაბათს ინგლისის ნაკრებმა მაკედონიის ნაკრებს უმასპინძლა საუთჰემპტონში, გუნდს, რომელიც დაშლის პირასაა და რომლის მწვრთნელსაც მარტის თვიდან ხელფასი არ აუღია.

„ერთადერთი, რაც ამ გუნდის შესახებ ვიცოდით, რომ მათი ათი ნომერი კარგად ურტყამს ჯარიმებს და კუთხურებს“ — თქვა სვენ გორან ერიკსონმა და ალბათ ეს ამბავი თავის მეკარესაც უთხრა.

ამის მიუხედავად, არტიმ შაკირიმ კუთხური ჩააწოდა და ცხადია, ბურთი კარში შევარდა, რადგან დევიდ სიმენს სათვალე სჭირდება. ინგლისის ნაკრებმა კი შინ ვერ მოუგო გუნდს, რომელსაც მისი მწვრთნელი ლიხტენშტაინის კლასის ნაკრებად თვლიდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

### ბერიკაცის ცოდვები



ინგლისი — მაკედონია



ბრაზილია — ინგლისი



არსენალი — სარაგოსა



არსენალი — ჩელსი



არსენალი — ბოლტონი

### IX ჯგუფი

**უელსი 2:1 იტალია**

1:0 დევისი (12), 1:1 დელ პიერო (32), 2:1 ბელამი (71)

**უელსი:** ჯონსი, დილანი, მელვილი, გაბიდონი, სპიდი, დევისი, სევიჯი, პემბრიჯი, გიგზი, ჰარტსონი, ბელამი (ბლეიქი 90)

**იტალია:** ბუფონი, პანუჩი, ნესტა, კანავარო, ძამბროტა, ტომაზი, დი ბიაჯო (გატუზო 64; მარაცინა 85), ამბროზინი, პირლო, დელ პიერო, მონტელა (მაკარონე 70)

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

70 000 მაყურებელი

**1958 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ უელსის ნაკრებს მსოფლიოსა თუ ევროპის პირველობების ფინალურ ეტაპზე ცხვირი არ შეუყვია. ახლა კი დახეთ, რა ხდება — ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ცოცხალმა ლეგენდა მარკ ჰიუზმა შვიდმატჩიანი დაუმარცხებელი სერია გამოკვერა. თან მეშვიდე შეხვედრაში თვით „ცისფერი გუნდი“ ცისფერ ნაწილებად დაშალა. კარდიფის „მილენიუმზე“ ჯოვანი ტრაპატონი დამარცხეს.

მასპინძლები მეტწილად აკონტროლებდნენ ბურთს და საბოლოოდ უპირატესობა ანგარიშშიც ასახეს.

უკვე მეთორმეტე წუთზე „მილენიუმმა“ ილრიალა. ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი საიმონ დევისმა საკმაოდ მახვილი კუთხიდან ბუფონის კარში გაამგზავრა. იტალიელს თითქოს უნდა აელო დევისის დარტყმული, მაგრამ იმ დღეს თავის ნაჭუჭში არ იყო.

ალესანდრო დელ პიერომ ოციოდ წუთში გაათანაბრა. ტურინელმა ზუსტად ისეთივე გაიტანა, როგორიც იუგოსლავიასთან — საჯარიმოდნ დაკრული მცველის თავის გავლით მასპინძელთა კარში აღმოჩნდა.

გათანაბრების შემდეგ გვარიანი დრო გავიდა, სანამ დამხვდურნი მეორეს და გამარჯვების გოლს გამოჭედავდნენ. მხარბეჭიანმა კრეიგ ბელამიმ მცველმეკარეს ჩაუცეკვა და 70 ათასი კაცი მეორედ აალრიალა.

ნამატჩევს მარკ ჰიუზს სიხარულისგან ველარ გაეგო, ეტირა თუ ეცინა. არცთუ მოსაუბრე კაცი ენად გაიკრიფა: „ძალიან ახლოს ვართ იმასთან, რასაც აგერ, 1959 წლიდან ველოდებით. ეს შესანიშნავი გრძნობაა, როცა იტალიას ამარცხებ. საკუთარი თავის რწმენა გიჩნდება. ეს ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო. მართალია, ფეხბურთელობის დროს ბევრი ჯილდო მომიგია, მაგრამ სულ სხვაა, როცა მწვრთნელობისას აღწევ შედეგს. მთავარია, თავში არ აგვივარდეს და დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. შემდეგი მატჩი აზერბაიჯანთან გვაქვს და უეჭველად უნდა მოვიგოთ, რათა ქულათა მაქსიმუმი დავაგროვოთ. ბიჭებმა იციან, რომ ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი. მათ საკუთარი ძალის ირწმუნეს. რაც გუნდი ჩავიბარე, მას შემდეგ დიდი ჯაფა დამადგა, რომ ამისთვის მიმეღწია. ჩვენ ეს შევძელით.“

რაიან გიგზი: „ვიცოდით, როგორ უნდა გვეთამაშა იტალიასთან და ნაფიქრი მოედანზეც გადავიტანეთ. უზომოდ კმაყოფილი ვარ.“

რობი სევიჯმა თავისი ჯიგრიანი თამაშით ქომაგები მოხიბლა: „თავს ისე ვგრძნობ, თითქოს მსოფლიოში ჩვენი მომგები არავინაა.“

მარკ ჰიუზმა ნამატჩევს განსაკუთრებით კრეიგ ბელამი გამოარჩია. ნიუკასლელმა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და, როგორც ჩანს, ფორმაშიც შევიდა. მთავარია, რომ იტალიას და იუგოსლავიას ვუსწრებთ, თუმც წინ ბევრი სამუშაო გვაქვსო — თქვა ბელამიმ.

ცხადია, რომ ასეთი წარმატების შემდეგ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის ბოსები მარკ ჰიუზს კონტრაქტის გაგრძელებას სთხოვენ და ალბათ არც მწვრთნელი დადგება უარზე.

აი, რას შესთავაზებენ ჯოვანი ტრაპატონის იტალიელები, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს. „ტრაპი“ ერთ ჩვენებურ მწვრთნელს მაგონებს, რომელიც იტალიელივით გაჯიუტდა და ცოცხალი თავით არ ეშვება იმ საქმეს, რომელსაც ვერა გაუგო რა. ალბათ ტრაპატონის დღეები მწვრთნელის პოსტზე დათვლილია, თუმც თვითონ წასვლას არ ჩქარობს.



უელსი — იტალია. კრეიგ ბელამის სამქულიანი დარტყმა

# ოცნებასთან ახლოს

## იტალიას გაუტრაპეს

**იუგოსლავია 2:0 ფინეთი**

1:0 კოვაჩევიჩი (55), 2:0 მიხაილოვიჩი (85პ)

**იუგოსლავია:** ჟევრიჩი, ვიდიჩი, მიხაილოვიჩი, ნიეგუში (კრსტაიჩი 46), ლაზეტიჩი, დულიაი, დრაგუტინოვიჩი, სტანკოვიჩი, მიატოვიჩი, კეჟმანი (ნ. ბრნოვიჩი 62), კოვაჩევიჩი (მილოშევიჩი 71)

**ფინეთი:** ნიემი, პასანენი (რეინი 64), საარინენი, ჰიიპია, კუივასტო, რიიჰილაჰტი, ნურმელა, ტაინიო (კუქი 82), სუმიალა (იოჰანსონი 58), ლიტმანენი, კოლკა

გაძევება: რეინი (83)

მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)

35 000 მაყურებელი

**იტალიაში** ნათამაშები ფრის შემდეგ დეიან სავიჩევიჩის იუგოსლავია მოსაგებად იყო მომართული, თუმცა ფინეთი იოლად წამოსაქცევი მეტოქე რომ არაა, მასპინძლებმა პირველ ტაიმშივე იგრძნეს.

სტუმრებს გაცილებით ბევრი საგოლე მომენტი ჰქონდათ და უფრო მწვავედაც უტევდნენ ჟევრიჩის კარს. იუგოსლაველ მცველებს რამდენჯერმე კარის ხაზიდანაც კი მოუწიათ ბურთის გამოტანა. განსაკუთრებით ფინელთა კუთხურები იყო სახიფათო.

თავის მხრივ, მასპინძელთა ერთ საჯარიმოს თუ არ ჩავთვლით, რომელიც წესისამებრ სინიშა მიხაილოვიჩმა შეასრულა, ჩრდილოელთა კართან სიმშვიდე სუფევდა.

მეორე ტაიმი სლავებმა უფრო ჯიგრიანად დაიწყეს და ათიოდ წუთში დარკო კოვაჩევიჩმა პირველი გოლი გამოჭედა. მეორე კი მატჩის მიწურულს მიხაილოვიჩის ზუსტად დარტყმული თერთმეტმეტრიანის შემდეგ გავიდა.

დეიან სავიჩევიჩი: „პირველი ტაიმი ნამდვილად ჩავაგდეთ, საჰაერო ბრძოლებში ფინელებმა დაგვჩაგრეს. სამაგიეროდ, ბიჭებმა მეორე ნახევარში რადიკალურად განსხვავებული, დალაგებულ-გააზრებული ფეხბურთი ითამაშეს და დამსახურებულადაც მოიგეს.“

ფინელთა თავკაცი ანტი მიურინენი: „პირველ ნახევარში უკეთესად გამოვიყურებოდით, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩემი გუნდი ჯერ მზად არ არის გადამწყვეტ მომენტში ბოლომდე საბრძოლველად.“

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| იუგოსლავია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ფინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| აზერბაიჯანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |



მარკ ჰიუზმა მწვრთნელადაც ივარგა



იუგოსლავია — ფინეთი. ჯონათან იოჰანსონი და ზორან ნიეგუში (№2)

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 16 ოქტომბერი



ჩრდ. ირლანდია — უკრაინა. აარონ ჰიუზმა ანდრეი გუსინი (№6) დაიჭირა

# ნისლი გაიფანტა, გოლი გამოჩნდა

**VI ჯგუფი**

**ჩრდ. ირლანდია 0:0 უკრაინა**

**ჩრდ. ირლანდია:** ტეილორი, ლომასი, პორლოკი, მაკკარტნი, ა. ჰიუზი, ჯონსონი (მერდოკი 83), გილესპი, მაგრინი (მაკკანი 90), შეილი, მაკვეიგი (კირკი 65), მ. ჰიუზი
**უკრაინა:** რევა, ლუჟნი, სტაროსტიაკი, ტიმოშჩუკი, კორმილცევი (ლისიცკი 89), გუსინი, ვორონინი, კალინიჩენკო (რებროვი 54), ზუბოვი, ვორობეი (მელაშჩენკო 76), რადჩენკო
მსაჯი: კოსიმო ბოლონინი (იტალია)
9 288 მაყურებელი

**უკრაინამ**, შეიძლება ითქვას, „უინძორ პარკზე" ორი ქულა დაკარგა. მიუხედავად ჩრდილოირლანდიელთა საწყისი უპირატესობისა, პირველი ტაიმის შუაწელიდან უკრაინელებმა შეხვედრაში გარდატეხა შეიტანეს და მატჩის ბოლომდე აურაცხელი მომენტები შექმნეს ტეილორის კართან. მათი უპირატესობა განსაკუთრებით თვალში საცემი ბოლო ნახევარ საათში იყო, როცა შეცვლაზე შესული რებროვით გაძლიერებული შეტევის ხაზი სულ მთლად აბობოქრდა და ჩრდილოირლანდიელთა დამრიგებელმა დაცვის გაძლიერებაზე დაიწყო ფიქრი. ალბათ, იფიქრა, მოგებას ვინ ჩივის, ემანდ ქულაც სანატრელი არ გაგვიხდესო.

ფაქტობრივად ასეც იყო. განსაკუთრებით აქტიური იყო ვორონინი, რომელიც ჩრდილოელებს ფლანგებიდან და ცენტრიდანაც აწიოკებდა. მისი ჩაწოდებული ბურთისთვის ახალშესულ რებროვს თავით სწორი მიმართულება რომ მიეცა, მატჩი სულ სხვაგვარი შედეგით დასრულდებოდა.

**საბერძნეთი 2:0 სომხეთი**

1:0, 2:0 ნიკოლაიდისი (2, 61)
**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, ვენეტიდისი (ფისასი 59), დაბიზასი, დელასი, ბასინასი, გეორგიადისი (იანაკოპულოსი 46), კაფესი, ხარისტეასი, ცარტასი (ზაგორაკისი 46), ნიკოლაიდისი
**სომხეთი:** ბერეზოვსკი, სარქისიანი (მელიქიანი 80), ბილიბიო, ოვსეპიანი, ვარდანიანი, ხაჩატრიანი (მინასიანი 46), პეტროსიანი, ვოსკანიანი, დოხოიანი, ართავაზ ქარამიანი, არმან ქარამიანი (მკრტჩიანი 66)
მსაჯი: დარკო ჩეფერინი (სლოვენია)
5 500 მაყურებელი

**ვინ თქვა**, გულშემატკივარი მეთორმეტე მოთამაშე არ არისო? აბა, ნახეთ: სტადიონზე მაშხალებით შეიარაღებული ხალხი რომ არ მისულიყო, ვინძლო საბერძნეთის ნაკრებს სომხებისთვის ვერ მოეგო. ასე კი ბერძნებმა ევრო 2004-ის შესარჩევ ჯგუფში პირველი მოგება იოლად გაიფორმეს.

გადარეული გულშემატკივრები მატჩამდე კარგა ხნით ადრე შერეოდნენ ტრიბუნებს, სადაც ელინთა მხარდასაჭერი ფოიერვერკი აეგიზგიზებინათ.

თამაში დაიწყო და ტრიბუნებსმაღლა მოქუფრულმა კვამლმა სომხების საჯარიმოში გადაინაცვლა. როგორც სტუმართა თავკაცმა ოსკარ ლოპესმა ნამატჩევს თქვა, სომხები ხელოვნურ ნისლში ერთიმეორეს ვერ სცნობდნენ და კარის დარაჯ რომან ბერეზოვსკის დემის ნიკოლაიდისის შორიდან დარტყმული ჯარიმა როგორ უნდა მოეგერიებინაო.

ასე იყო თუ ისე, ბერძენმა ფეხბურთელებმა თუ გულშემატკივრებმა თავისი გააკეთეს და მასპინძლები ნაადრევად დაწინაურდნენ.

შემდეგ თამაში მიწყნარდა და გათანაბრდა. კავკასიელები არ გატყდნენ, კონტრშეტევებით, რომლის სულისჩამდგმელი არტურ პეტროსიანი იყო, ხშირად ანერვიულებდნენ მასპინძლებს. პეტროსიანს ორჯერ ებოძა გათანაბრების რეალური შანსი, მაგრამ ვერ ივარგა.

ბერძენთა დამრიგებელი ოტო რეჰაგელი მიხვდა, რომ ასეთი თამაშით მისი გუნდი მეორე ტაიმში ხეირს ვერ ნახავდა. თანაც კვამლიც გაფანტულიყო და გერმანელმა შეცვლებს მიმართა. ბერძენთა გამთამაშებელ ცარტასისა და დაცვის დამაკავშირებელი ძაფები მორღვეულიყო. მაგრამ ბერძნებმა უნისლოდაც ივარგეს: ანგელის ბასინასმა სომეხი მცველი იოლად ჩამოიშორა და ნიკოლაიდისს გასატანად მიაწოდა, რომელმაც აუღელვებლად გაიჩარხა დუბლი. ამის მერე სომხებს ნირი წაუხდათ და ბერეზოვსკის უნდა უმადლოდნენ, დიდი ანგარიშით რომ არ წააგეს.

რეჰაგელი მოგებამ ალაფრთოვანა და სომხებთან მოპოვებული სამი ქულა ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად მებრძოლ გუნდებში გარევის საწინდრად მიიჩნია: „ეს გამარჯვება უმნიშვნელოვანესი იყო, ჯგუფიდან გასვლის შანსი გაგვეზარდა, თუმც წინ მრავალი ბრძოლა გველის."

ლოპესი კი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბურუსში გაშვებულ გოლს არ ივიწყებდა და იმეორებდა, არ უნდა ჩათვლილიყოო.

**ირაკლი ბერტაია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| უკრაინა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| სომხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |

# სისულელისთვის ერთი წუთიც საკმარისია

**VIII ჯგუფი**

**ესტონეთი 0:1 ბელგია**

0:1 სონკი (1)
**ესტონეთი:** პოომი, ალასი, სტეპანოვი, პიიროია, როომბა, რეიმი, ანისტე (მაავისტუ 46), კრისტალი (სახაროვი 85), ზელინსკი, ოპერი, ტერეხოვი (ვიიკმაე 58)
**ბელგია:** დე ფლიხერი, დე კოკი, ვალგაერენი, სიმონსი, დეიდენი, ვანდერჰაგე, ბუფელი, გოორი, სონკი, ბასეჯიო, ვან ჰუდტი
მსაჯი: მაიკლ რილი (ინგლისი)
2 500 მაყურებელი

**უესლი ბრაუნის** პირველ წუთზე გატანილი გოლი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ბელგიელებისთვის. ცხადია, იმის თქმა არ გვინდა, სტუმრებმა თავიდანვე გაიტანეს და დალგნენო — მთელი თამაში უტევდნენ, მაგრამ იმ ერთს დაჯაბულდნენ. კარგად გაისარჯა ესტონელთა მეკარე მარტ პოომი, რომელმაც რამდენიმე რთული ბურთი აიღო თოვლისგან თამაშამდე ერთი საათით ადრე გაწმენდილ მოედანზე.

გოლი სრულიად სულელური გამოდგა: სერგეი ტერეხოვმა გრძელი და უხერხული პასი მისცა მეკარე პოომს, ვისაც მოგეხსენებათ, საჯარიმოში ხელით თამაშის უფლება არ ჰქონდა და ბურთი სონკს გადაბარა.

**ბულგარეთი 2:1 ანდორა**

1:0 ჩილიკოვი (37), 2:0 ბალაკოვი (59), 2:1 ტ. ლიმა (81)
**ბულგარეთი:** ზდრავკოვი, კიშიშევი, პაჟინი, კიროლოვი, ი. პეტკოვი, სტილიან პეტროვი, ბალაკოვი (სვეტოსლავ პეტროვი 63), პეევი, მ. პეტროვი (მანჩევი 75), იანკოვიჩი (გ. ივანოვი 78), ჩილიკოვი
**ანდორა:** ალვარესი, აიალა, ესკურა, ალონსო, ტ. ლიმა, ი. ლიმა, გონსალესი (ფ. სილვა 64), სონეხე, ფერნანდესი, ხიმენესი (მუხოლი 80), რუისი
გაძევება: ტ. ლიმა (83)
მსაჯი: კერი რიჩარდსი (უელსი)
38 000 მაყურებელი

**ბულგარელებმა** აურაცხელი მომენტი შექმნეს მეტოქის კართან, მაგრამ უკიდურესად დაცვითი ფეხბურთის მოთამაშე ანდორელებს ორზე მეტი ვერ გაუტანეს. საკმარისიც იყო, ბულგარელებმა ჯგუფში სამივე თამაში მოიგეს და გაზაფხულამდე მშვიდად არიან.

მასპინძელთა პირველი გოლი გეორგი ჩილიკოვმა გაიტანა გეორგი პეევის პასით. ჩილიკოვისთვის ეს ოდენ მესამე სანაკრებო თამაში იყო. გამარჯვებისა კი გამთამაშებელმა და კაპიტანმა კრასიმირ ბალაკოვმა შეაგდო საჯარიმო დარტყმით. აღვნიშნოთ, რომ ბალაკოვი ბოლომდე არც მომჯობინებულა მუცლის კუნთების ტრავმისგან.

ანდორელმა ტონი ლიმამ შესარჩევ ციკლში თავისი ქვეყნის პირველი გოლი გაიტანა, კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი დაჰკრა, ორი წუთის მერე კი ვლადიმირ მანჩევთან უხეშობისთვის მეორე ყვითელი ბარათით გააძევეს.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| ბელგია | 3 | 2 | 0 | 1 | 2:2 | 6 |
| ესტონეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ხორვატია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ანდორა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

## ამხანაგური მატჩები



ესპანეთი — პარაგვაი. რაულის ნაცვლად მოთამაშე კაპიმ ბევრი ვერაფერი გააკეთა

# ესპანეთმა ბელფასტი გაიმეორა

**ესპანეთი 0:0 პარაგვაი**

**ესპანეთი:** კონტრერასი, სალგადო, გარსია კალვო, ხუანიტო, ბრავო (კამდევილა 46), ვისენტე (გუტი 46), ბარახა (ხავი 46), ალბელდა, მენდიეტა (ხოაკინი 46), კაპი, მორიენტესი (ტრისტანი 46)
**პარაგვაი:** ტავარელი, ისასი, აიალა, და სილვა, გამარა, ბონეტი, აკუნია, პარედესი, გომესი (სამუდიო 46), კამპოსი (კასერესი 86), კუევასი (ავალო 90)
მსაჯი: ოლეგარიო ბენკერენსა (პორტუგალია)
15 000 მაყურებელი

**ესპანელებს** ნულოვანი ფრე სულაც არ ანაღვლებთ, მთავარია, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მათი მეტოქეებიც, ჩრდილოეთ ირლანდია და უკრაინა, უგოლოდ დაიხარჯნენ ბელფასტში, სამხრეთამერიკელებთან მატჩი კი ამხანაგური იყო.

ინაკი საესმა ესპანელები საბრძოლო შემადგენლობით ვერ ათამაშა — რაულს ტრავმა აწუხებს და ევროპელთა თავკაცმა ეროვნულ გუნდში ბეტისელი კაპი ათამაშა.

ვისენტემ, რომელიც ნელ-ნელა ეჩვევა ნაკრების ძირითად შემადგენლობას, ქებული გარემარბობით მარცხენა ფლანგი აიკლო — ვალენსიელმა 24-ე წუთზე ძლიერად დაჰკრა შორიდან და პარაგვაელთა მეკარე რიკარდო ტავარელი აიძულა, ბურთი უხერხულად მოეგერიებინა, თუმც დავიდ ალბელდამ ხეირიანად ვერ დაამატა.

დაცვას მიჯაჭვული პარაგვაელები თავდასხმაში კენტად მობურთალი ნელსონ კუევასის იმედად იყვნენ, მაგრამ ესპანელთა ნაკრების მეკარე პედრო კონტრერასს პირველად ხიფათი სტუმართა ნახევარმცველმა კარლოს პარედესმა შეუქმნა. 21-წუთზე პარაგვაელმა სახიფათო ჯარიმა დაარტყა, თუმც გოლი რომ არ გასულა, ოქმიდანაც იცით.

საესმა შესვენებისას 5 ფეხბურთელი შეცვალა. ახალშესულმა დიეგო ტრისტანმა მეორე ტაიმის პირველივე წუთზე ააფორიაქა პარაგვაელები, თუმც დეპორტივოელმა ტავარელისთვის დარტყმულში მთელი სული და გული ვერ ჩააქსოვა. ტრისტანს ახალშესულებმა ვერ აუბეს მხარი და ესპანელთა შეტევებმაც სიმწვავე დაკარგა.

თამაში ზლაზნით გაგრძელდა, სანამ იმავე ტრისტანს პირინეელთა გასამარჯვებლად ხელსაყრელი ვითარება არ შეექმნა, მაგრამ დიეგოს თავურმა პარაგვაელთა კარში ადგილი ვერ მონახა და მატჩიც დასრულდა.

**ირაკლი ბერტაია**

**პოლონეთი 2:0 ახ. ზელანდია**

1:0 რატაიჩიკი (61), 2:0 კუკიელკა (86)

**იაპონია 1:1 იამაიკა**

1:0 ონო (7), 1:1 ფულერი (80)

**კოსტა რიკა 1:1 ეკვადორი**

1:0 ბრისი (53), 1:1 კ. ტენორიო (83)




ზიკოს გაწვრთნილ იაპონიის ნაკრებს მოგებამდე ათი წუთი დააკლდა

# ოქროს თაობა მიდის
## პორტუგალიას თაობა ჰყოლია...

**შვედეთი 2:3 პორტუგალია**

1:0 პეტერსონი (6), 2:0 ოლბაკი (24), 2:1 კონსეისაუ (34), 2:2 რომეუ (63), 2:3 რუი კოშტა (88)

**შვედეთი:** ისაკსონი (ლასტი 46), მელბერგი (ნ. იოჰანსონი 46), იაკობსონი, მიხაელ სვენსონი, კალსტრომი, ლინდეროტი, ალექსანდერსონი, ა. სვენსონი, მ. იონსონი (ედმანი 59), ოლბაკი, პეტერსონი (ოუბინი 73)

**პორტუგალია:** კინი, მეირა, ფ. კოუტუ, პეტი (ვალენტე 46), ს. კონსეისაუ, რუი ჟორჟე (სილვა 46), ბეტუ, ვიანა (რუი კოშტა 80), ნუნო კაპუშუ (ბოა მორტე 46), რომეუ (პაულეტა 80), მ. ფერეირა (ფიგუ 80)

მსაჯი: კირიოს ვასარასი (საბერძნეთი)

30 047 მაყურებელი

**უნგრეთთან** ორ ქულადაკარგული შვედეთი შინ ამხანაგურად წაებურთავა პორტუგალიას და კვლავ გაწბილდა. მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოყოლებული ეს შვედთა მეოთხე მოუგებელი მატჩი იყო. თანაც წინა სამი ფრისგან განსხვავებით, სკანდინაველებმა ამჯერად ორბურთიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და წააგეს.

ორბურთიანი სხვაობით შვედები უკვე 24-ე წუთისთვის იგებდნენ, ჯერ მე-6 წუთზე იორგენ პეტერსონმა იხეირა ოლბაკის პასით, შემდეგ პეტერსონის დარტყმული პორტუგალიელთა მეკარემ მოიგერია, დამატებაზე კი პირველი ოლბაკი გაჩნდა.

ევრო 2004-ის მასპინძლებმა პირველი ბურთი ათ წუთში პენალტით გაქვითეს. ნაკრების ახალწვეული მარკო ფერეირა



ფერნანდო კოუტუმ იორგენ პეტერსონი ჩაწიხლა და შვედი ურიკით გაიტანეს

მიქაელ სვენსონმა წააქცია და სერჟიო კონსეისაუმ აუღელვებლად გაიტანა.

ტაიმის მიწურულს კონსეისაუს გათანაბრებაც შეეძლო, თუმც მისი ოციოდე მეტრიდან დაქუხებული შვედთა კარის ძელმა მოიგერია.

პორტუგალიამ გათანაბრება მეორე ტაიმის დასაწყისში მოახერხა, ამჯერად ნაკრების კიდევ ერთი ახალწვეულის, რომეუს თავურით. აღსანიშნავია, რომ სტუმრებმა ლიდერები — ფიგუ, რუი კოშტა და პედრო პაულეტა მხოლოდ ბოლო ათი წუთი ათამაშეს, რაც გამარჯვებისათვის საკმარისი აღმოჩნდა. რუი კოშტამ მეორე ტაიმში ანდრეას ისაკსონის ნაცვლად მოთამაშე დიკ ლასტს 88-ე წუთზე გაუტანა.

„დიდ გუნდს მოვუგეთ. ბრწყინვალედაც ვითამაშეთ" — კმაყოფილი იყო ნამატჩევს პორტუგალიელთა მწვრთნელი ოლივეირა.

ოლივეირას განსაკუთრებით გუნდის ახალბედების — რომეუსა და ფარეირას კარგი თამაში ახარებდა: „ორივესთვის ეს ნაკრების პირველი გასვლითი მატჩი იყო და მათ ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე ითამაშეს და დაამტკიცეს, რომ გუნდისთვის საჭირონი არიან" — განაცხადა მწვრთნელმა.

პორტუგალიელი კოლეგისგან განსხვავებით, არცთუ კარგ ხასიათზე იყო ლარს ლაგერბაკი. სხვათა შორის, შვედებმა ტრამვირებული ლიდერების — ფრედერიკ ლიუნგბერგისა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის არყოფნაში, ტრადიციული 4-4-2 ნაცვლად 3-5-2 სისტემით ითამაშეს. დაცვის სამეული ოკან მელბერგმა, ანდრეას იაკობსენმა და მიქაელ სვენსონმა შეადგინეს, თუმც ლაგერბაკს ვერც ახალმა სქემამ უშველა.

„ძალიან უსამართლო შედეგია. ჩვენ მათ ოდნავი თავისუფლება მივეცით, ეს კი პორტუგალიისთანა გუნდთან, რომელიც ბურთს ფანტასტიკურად ფლობს, დამღუპველია. შედეგად ორბურთიანი უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ" — წუხდა შვედთა მთავარი მწვრთნელი.

**სერგი ძორიძე**





კარლო ანჩელოტიმ ანდრეი შევჩენკოს პირობა მისცა

# კაცი თქვი, ადგილი ყველას ეყოფა

**პარიზი** ამბავი „მილანისთვის": ვარჯიში განაახლეს ანდრეი შევჩენკომ, რივალდომ, როკე ჟუნიორმა და ფერნანდო რედონდომ.

კარლო ანჩელოტი შევჩენკოს გამოჯანმრთელებას თურმე ძალიან გაუხარებია და იტალიურ გაზეთ IL GIORNALE-ს კორესპონდენტთან ინტერვიუში უთქვამს: „შევჩენკო „მილანისთვის" პრობლემა არასოდეს იქნება, ანდრეი ყოველთვის შედის ჩემს სათამაშო სქემაში. თქვენ მეკითხებით, იქნებიან მოედანზე ერთად ზეედორფი, რუი კოშტა, რივალდო, ინძაგი და შევჩენკო? მე გიპასუხებთ: ძნელი იქნება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. მთავარია, ფორმაში იყვნენ, ძირითადში ადგილს როგორმე ყველას გამოვუნახავ. ვამაყობ ფეხბურთელებით. ამ ბიჭებს ყველანაირი წინაპირობა აქვთ შექმნილი, რათა 90-იანი წლების წარმატებები გაიმეორონ."

აი, რას ამბობს თავად შევჩენკო: „თავს ჩინებულად ვგრძნობ, მუხლი ოდნავადაც არ მაწუხებს. ახლა ჩემი საფიქრალი ძირითადში ადგილის დამკვიდრებაა. ისეთ ვარსკვლავთკრებულში, „მილანი" რომ პ ქვია, ადგილს მხოლოდ თავდაუზოგავი შრომით თუ მოიპოვებ."

მოგეხსენებათ, ამ დღეებში კვლავ ალაპარაკდნენ, ანდრეი შევჩენკოს „მილანის" ძირითადში მოხვედრა გაუჭირდება და კლუბს, სავარაუდოდ, იანვრიდან გამოიცვლისო. „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარიანტიც ამოტივტივდა.

„მილანი" კი, უფრო სწორად, მისი ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი, კვლავაც ჯიუტად, კატეგორიულად აცხადებს: „ყველამ გაიგოს, ანდრეი შევჩენკო არ იყიდება!"

თავად შევჩენკოს თურმე ეს ყოველივე არ ადარდებს და ნისლიან ალბიონზე სავარაუდო გადაბარგებას ჟურნალისტების ფანტაზიის ნაყოფს უწოდებს: „მე კონტრაქტი 2006 წლამდე გავაგრძელე, ესე იგი „მილანში" დარჩენა მსურს, მინდა, გუნდთან ერთად დიდ წარმატებებს მივაღწიო. ჟურნალისტებს კი გთხოვთ, მოეშვით ჩემს ტრანსფერზე ლაპარაკს. ეს წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი."

აი, ასეა საქმე. უკრაინელს ეტყობა, რომ თავისი საქმე არ დავიწყებია და პირველსავე ვარჯიშზეც „მილანის" ახალგაზრდულ გუნდს ორი ბურთი გაუტანა.

ანჩელოტიმ კი დაიქადნა, ვინაიდან ფილიპო ინძაგი დაგვიშავდა, ახლა „ატალანტასთან" თამაშში რივალდო და ტომასონი იქნებიან, 26 ოქტომბერს კი „კიევოს" შევჩენკო და რივალდო შეუტევენო.

**გიორგი მუზაკიძე**


# ფეხბურთის მოყვარულებს მაგთიკომისაგან

მაგთი MAGTI GSM

თქვენთვის და მხოლოდ თქვენთვის მაგთიკომმა ჩართო ახალი მომსახურება, რომელიც საშუალებას მოგცემთ, მობილური ტელეფონის საშუალებით ნებისმიერ მომენტში მიიღოთ ოპერატიული ინფორმაცია ფეხბურთის სამყაროდან:

დარეკეთ ნომერზე 2000, მოუსმინეთ ავტომოპასუხეს და რამდენიმე წამში რამდენიმე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მიიღებთ ტელეფონის იმ ნომრების ჩამონათვალს, რომელთა საშუალებითაც გაიგებთ:

— სასურველი ქვეყნების (იტალია, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, ჰოლანდია, რუსეთი, ესპანეთი, შოტლანდია, პორტუგალია, ბელგია) ეროვნული ჩემპიონატების უმაღლესი ლიგების;



**— უეფას თასის;**
**— ჩემპიონთა ლიგის;**
**— და 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების შედეგებს.**

**2000-ზე დარეკვა და ამ ინფორმაციის მიღება უფასოა!**

დეტალური ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
25 00 00
25 11 11
525(მობილურიდან)

მას შემდეგ, რაც აირჩევთ და დარეკავთ სასურველ ნომერზე (მაგ: იტალიის უმაღლესი ლიგა — ნომერი 2000391), მიიღებთ ამომწურავ ინფორმაციას მატჩების შედეგების შესახებ ერთი ან რამდენიმე ტექსტური შეტყობინების სახით. ერთი ზარის შედეგად მიღებული ინფორმაცია, SMS-ების რაოდენობის მიუხედავად, ღირს 24 თეთრი.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. IX ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | კოტბუსი-ჰერტა | 3,5 | 3,1 | 2,0 | 1,64 | 1,27 | 1,21 |
| 18.30 | 002 | მიუნხენი-შალკე | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 18.30 | 003 | ჰამბურგი-მიონხენგლადბახი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 18.30 | 004 | ჰანოვერი-ვერდერი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 18.30 | 005 | ჰანზა-ბაიერნი | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| 18.30 | 006 | ლევერკუზენი-ლაუტერნი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 18.30 | 007 | დორტმუნდი-არმინია | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 008 | დორტმუნდი-არმინია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 20.30 | 010 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. IX ტური** | | | | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 011 | ლიუბეკი-დუისბურგი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 22.00 | 012 | ალენი-ალემანია | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 22.00 | 013 | ტრირი-აინტრახტი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 014 | უნიონი-ბურგჰაუზენი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 18.00 | 015 | ბრაუნშვაიგი-კარლსრუე | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 18.00 | 016 | როიტლინგენი-სტ.პაული | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 18.00 | 017 | ობერჰაუზენი-ფრაიბურგი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 18.00 | 018 | ვალდჰოფი-ფიურტი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| | | 21 ოქტომბერი. | | | | | | |
| 23.15 | 019 | მაინცი-კიოლნი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XIII ტური** | | | | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 020 | მიუნსტერი-ურდინგენი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 021 | კიოლნი(მ)-ბაბელსბერგი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 17.00 | 022 | ესენი-ლევერკუზენი(მ) | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 17.00 | 023 | ფერლი-აუე | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 17.00 | 024 | ვატენშაიდი-ოსნაბრიუკი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 17.00 | 025 | ქემნიცი-პადერბორნი | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| 17.00 | 026 | დინამო-ვერდერი(მ) | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 17.00 | 027 | კილი-დრეზდენი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 028 | ჰამბურგი(მ)-დორტმუნდი(მ) | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XV ტური** | | | | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 030 | უნტერჰახინგი-ზაარბრიუკენი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 031 | რეგენსბურგი-ფფულენდორფი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 032 | რეგენსბურგი-ფფულენდორფი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 17.30 | 033 | ვეენი-ნოინკირხენი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 17.30 | 034 | კიკერსი-ზიგენი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 17.30 | 035 | ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 036 | კაიზერსლაუტერნი(მ)-შვაინფურტი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 18.00 | 037 | ბაიერნი(მ)-ერფურტი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 18.00 | 038 | ელვერსბერგი-დარმშტადტი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 21.00 | 039 | ოფენბახი-აალენი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. X ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 040 | ლიდსი-ლივერპული | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 041 | ბლეკბერნი-ნიუკასლი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 19.00 | 042 | ევერტონი-არსენალი | 4,2 | 3,2 | 1,75 | 1,81 | 1,23 | 1,13 |
| 19.00 | 043 | ფულემი-მანჩესტერი | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| 19.00 | 044 | სიტი-ჩელსი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 045 | სანდერლენდი-ვესტ ჰემი* | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 046 | ვესტ ბრომვიჩი-ბირმინგემი | 2,15 | 3,0 | 3,3 | 1,25 | 1,3 | 1,57 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.05 | 047 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.05 | 048 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 24.00 | 049 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 050 | ბრაიტონი-შეფილდი | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| 19.00 | 051 | ჯილინგემი-უოტფორდი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 19.00 | 052 | გრიმსბი-როტერჰემი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 19.00 | 053 | ლესტერი-ბარნლი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 054 | ნორვიჩი-მილუოლი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 19.00 | 055 | პორტსმუთი-ქოვენთრი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 056 | რედინგი-იფსვიჩი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 19.00 | 057 | უენსდი-ბრედფორდი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 058 | უოლსოლი-პრესტონი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 19.00 | 059 | უიმბლდონი-კრისტალ პალასი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 21.35 | 060 | სტოკი-ვოლვერჰემპტონი | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.05 | 061 | დერბი-ნოტინგემი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 062 | კოლჩესტერი-ჩესტერფილდი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 063 | ბლეკპული-კარდიფი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 064 | ბრენტფორდი-პორტ ვეილი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 065 | ბრისტოლი-სუინდონი | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,02 | 1,2 | 2,33 |
| | 066 | ბრისტოლი-სუინდონი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 19.00 | 067 | ჩელტენემი-ქუინს პარკი | 3,3 | 3,2 | 2,05 | 1,62 | 1,26 | 1,24 |
| 19.00 | 068 | ქრიუ-პლიმუთი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 19.00 | 069 | მენსფილდი-ჰადერსფილდი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 070 | ნოტსი-ნორთჰემპტონი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 19.00 | 071 | ოლდემი-ლუტონი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 072 | ტრანმერი-ბარნსლი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 073 | უიგანი-სტოკპორტი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 074 | უიკომბი-პიტერბორო | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 075 | კემბრიჯი-ოქსფორდი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 19.00 | 076 | დარლინგტონი-ბოსტონი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 077 | ჰარტლპული-რექსემი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 078 | ლეიტონი-ბორნმუთი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 079 | ლინკოლნი-ექსეტერი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 080 | მაკლსფილდი-კარლაილი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 081 | როჩდეილი-სკანთორპი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 082 | რაშდენი-ბერი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 083 | შრუსბერი-კიდერმინსტერი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 084 | სუონსი-საუთენდი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 085 | ტორკი-ჰალი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 086 | იორკი-როვერსი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| | | **იტალია. სერია "A". VI ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 087 | ემპოლი-რომა | 3,6 | 3,0 | 2,0 | 1,63 | 1,28 | 1,2 |
| 23.30 | 088 | ინტერი-იუვენტუსი | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 089 | ატალანტა-მილანი | 4,4 | 3,1 | 1,75 | 1,81 | 1,25 | 1,11 |
| 18.00 | 090 | ბოლონია-ბრეშა | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 18.00 | 091 | კომო-პიაჩენცა | 2,25 | 2,9 | 3,2 | 1,26 | 1,32 | 1,52 |
| 18.00 | 092 | ლაციო-პერუჯა | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,02 | 1,2 | 2,33 |
| | 093 | ლაციო-პერუჯა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 18.00 | 094 | ტორინო-კიევო | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 |
| 18.00 | 095 | უდინეზე-რეჯინა | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.30 | 096 | მოდენა-პარმა | 2,7 | 2,8 | 2,6 | 1,37 | 1,32 | 1,34 |
| | | **იტალია. სერია "B". VIII ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 097 | ანკონა-სამპდორია | 2,6 | 2,7 | 2,8 | 1,32 | 1,34 | 1,37 |
| 23.30 | 098 | კალიარი-ვერონა | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1,07 | 1,31 | 1,83 |
| 23.30 | 099 | კატანია-სალერნიტანა | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 23.30 | 100 | კოზენცა-ასკოლი | 1,85 | 2,8 | 4,7 | 1,11 | 1,32 | 1,75 |
| 23.30 | 101 | ვენეცია-მესინა | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 23.30 | 102 | ლეჩე-ტრიესტინა | 1,5 | 3,2 | 7,5 | 1,02 | 1,25 | 2,24 |
| 23.30 | 103 | ნაპოლი-ლივორნო | 1,55 | 3,1 | 7,0 | 1,03 | 1,26 | 2,14 |
| 23.30 | 104 | სიენა-ბარი | 2,4 | 2,6 | 3,2 | 1,24 | 1,37 | 1,43 |
| 23.30 | 105 | ტერნანა-ვენეცია | 1,7 | 2,9 | 5,3 | 1,07 | 1,28 | 1,87 |
| 23.30 | 106 | ვიჩენცა-პალერმო | 2,15 | 2,7 | 3,6 | 1,19 | 1,34 | 1,54 |
| | | **იტალია. სერია. "C1 A". VIII ტური** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 107 | ჩეზენა-კარარეზე | 1,7 | 2,7 | 6,0 | 1,04 | 1,32 | 1,86 |
| 18.00 | 108 | ჩიტადელა-პროპატრია | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| 18.00 | 109 | ლუმეცანე-პრატო | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| 18.00 | 110 | პიზა-რეჯანა | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| 18.00 | 111 | პისტოიეზე-ლუკეზე | 1,55 | 3,1 | 7,0 | 1,03 | 1,26 | 2,14 |
| 18.00 | 112 | სპალ-ალცანო | 1,75 | 2,7 | 5,6 | 1,06 | 1,33 | 1,82 |
| 18.00 | 113 | სპეცია-ალბინოლეფე | 2,7 | 2,7 | 2,7 | 1,35 | 1,35 | 1,35 |
| 18.00 | 114 | ტრევიზო-არეცო | 1,5 | 3,2 | 7,5 | 1,02 | 1,25 | 2,24 |
| 18.00 | 115 | ვარეზე-პადოვა | 2,6 | 2,6 | 2,9 | 1,3 | 1,37 | 1,37 |
| | | **იტალია. სერია. "C1 B". VIII ტური** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 117 | აველინო-პესარო | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 18.00 | 118 | ბენევენტო-სორა | 2,1 | 2,7 | 3,8 | 1,18 | 1,35 | 1,57 |
| 18.00 | 119 | კიეტი-ჯულიანოვა | 2,3 | 2,6 | 3,4 | 1,22 | 1,37 | 1,47 |
| 18.00 | 120 | ფერმანა-ლანჩანო | 2,2 | 2,6 | 3,6 | 1,19 | 1,36 | 1,5 |
| 18.00 | 121 | სამბენედეტეზე-მარტინა | 2,3 | 2,6 | 3,4 | 1,22 | 1,37 | 1,47 |
| 18.00 | 122 | ტარანტო-პატერნო | 1,55 | 3,1 | 7,0 | 1,03 | 1,26 | 2,14 |
| 18.00 | 123 | ტერამო-გელა | 1,75 | 2,7 | 5,6 | 1,06 | 1,33 | 1,82 |
| 18.00 | 124 | ვიტერბეზე-ტორესი | 1,95 | 2,8 | 4,2 | 1,14 | 1,33 | 1,68 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 125 | პესკარა-კროტონე | 2,1 | 2,7 | 3,8 | 1,18 | 1,35 | 1,57 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. VI ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 126 | რასინგი-რეალი | 4,4 | 3,2 | 1,7 | 1,85 | 1,22 | 1,11 |
| 23.30 | 127 | ვილიარეალი-დეპორტივო | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 00.30 | 128 | ატლეტიკო-ვალენსია | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 129 | ბეტისი-მალიორკა | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 21.00 | 130 | ალავესი-სოსიედადი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 21.00 | 131 | ბილბაო-მალაგა | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 21.00 | 132 | ესპანიოლი-უელვა | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 21.00 | 133 | ოსასუნა-სევილია | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |
| 22.00 | 134 | სელტა-რაიო | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 23.30 | 135 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. VII ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.30 | 136 | ეიბარი-ფეროლი | 2,1 | 2,8 | 3,6 | 1,19 | 1,32 | 1,57 |
| 21.30 | 137 | ელჩე-კორდობა | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 01.00 | 138 | ლას პალმასი-ხეტაფე | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,06 | 1,27 | 1,95 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15.00 | 139 | ლეგანესი-ალბასეტე | 2,35 | 2,8 | 3,1 | 1,27 | 1,33 | 1,47 |
| 15.00 | 140 | ტერასა-ტენერიფე | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 21.00 | 141 | ბადახოსი-მერიდა | 2,25 | 2,8 | 3,3 | 1,24 | 1,33 | 1,51 |
| 21.00 | 142 | სპორტინგი-ეხიდო | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| 21.00 | 143 | ხერესი-სალამანკა | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 21.00 | 144 | სარაგოსა-ოვიედო | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| 21.00 | 145 | ალმერია-კომპოსტელა | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 21.00 | 146 | ნუმანსია-ლევანტე | 2,25 | 2,8 | 3,3 | 1,24 | 1,33 | 1,51 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XI ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.15 | 147 | ლიონი-ოსერი | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 23.00 | 148 | ბასტია-ლე ავრი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 23.00 | 149 | გენგამი-მონპელიე | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 23.00 | 150 | ლანსი-აიაჩო | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 23.00 | 151 | მონაკო-ლილი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 23.00 | 152 | ნანტი-ნიცა | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 23.00 | 153 | სედანი-რენი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 23.00 | 154 | სოშო-ბორდო | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 23.00 | 155 | ტრუა-პსჟ | 2,8 | 2,8 | 2,5 | 1,39 | 1,32 | 1,32 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 156 | მარსელი-სტრასბური | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XII ტური** | | | | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.15 | 157 | ვალანსი-მეცი | 2,45 | 2,8 | 2,9 | 1,3 | 1,32 | 1,42 |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.00 | 158 | ბოვე-სტ.ეტიენი | 2,05 | 2,9 | 3,6 | 1,2 | 1,3 | 1,6 |
| 23.00 | 159 | კაენი-ისტრი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 23.00 | 160 | შატორუ-რეიმსი | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| 23.00 | 161 | კლერმონი-ლორიანი | 2,6 | 2,8 | 2,7 | 1,34 | 1,32 | 1,37 |
| 23.00 | 162 | კრეტეი-ლე მანი | 2,5 | 2,7 | 2,9 | 1,29 | 1,34 | 1,39 |
| 23.00 | 163 | გრენობლი-ამიენი | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |
| 23.00 | 164 | ლავალი-გენიონი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 165 | ნანსი-ტულუზი | 2,7 | 2,7 | 2,7 | 1,35 | 1,35 | 1,35 |
| 23.00 | 166 | ვასკალი-ნიორი | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. VII ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 24.00 | 167 | ბრაგა-ბოავიშტა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 168 | ვარზიმი-ჟილ ვისენტე | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.30 | 169 | აკადემიკა-ბეირა მარი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.30 | 170 | მორეირენსე-ნასიონალი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 20.00 | 171 | სანტა კლარა-მარიტიმუ | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 20.00 | 172 | სეტუბალი-ლეირია | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 21.00 | 173 | სპორტინგი-ბელენენსეში | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 23.00 | 174 | პორტუ-ბენფიკა | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 00.30 | 175 | ფეირერა-გიმარაეში | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. VII ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 176 | სალგეირუში-ფარენსე | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 177 | ამადორა-შავეში | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 20.00 | 178 | ლამაში-ნავალი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 20.00 | 179 | მაია-ალვერკა | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 19.00 | 180 | ფელგეირაში-ავეში | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 20.00 | 181 | პორტიმონენსე-კოვილია | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 20.00 | 182 | პენაფიელი-ოვარენსე | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 20.00 | 183 | ლეცა-რიო ავე | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 20.00 | 184 | მადეირა-მარკუ | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. VIII ტური

18 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 185 | გრააფსხაპი-ნაიმეგენი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |

19 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 186 | აიაქსი-ალკმაარი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 187 | აიაქსი-ალკმაარი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 22.30 | 188 | ვიტესი-ფეიენოორდი | 3,1 | 3,2 | 2,15 | 1,57 | 1,26 | 1,28 |
| 22.30 | 189 | ტილბურგი-როზენდაალი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 22.30 | 190 | პსვ-როდა | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 191 | პსვ-როდა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 23.00 | 192 | ტვენტე-ჰერენვენი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |

20 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 193 | ექსცელსიორი-უტრეხტი | 2,3 | 3,3 | 2,7 | 1,35 | 1,24 | 1,48 |
| 17.30 | 194 | ზვოლე-ბრედა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 17.30 | 195 | გრონინგენი-ვაალვაიკი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. VIII ტური

18 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 196 | მაასტრიხტი-კამბური | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 23.00 | 197 | დენ ბოსხი-ვოლენდამი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 23.00 | 198 | დორდრეხტი-ემენი | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| 23.00 | 199 | სიტარდი-ოსი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 23.00 | 200 | დენ ჰააგი-ჰერაკლესი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 23.00 | 201 | ტელსტარი-სპარტა | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 23.00 | 202 | ვენლო-იგლსი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 23.00 | 203 | ეინდჰოვენი-ჰელმონდი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |
| 23.00 | 204 | ვეენდამი-ჰაარლემი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |

### ბელგია. I დივიზიონი. IX ტური

19 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 205 | გენტი-ლოკერენი | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| 23.00 | 206 | ანტვერპენი-სტ.ტრუიდენი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 23.00 | 207 | შარლერუა-ბრიუგე | 5,0 | 3,6 | 1,55 | 2,09 | 1,18 | 1,08 |
| 23.00 | 208 | ანდერლეხტი-მონსი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 209 | ანდერლეხტი-მონსი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 23.00 | 210 | მეხელენი-ლომელი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 23.00 | 211 | სტანდარდი-ბეერსხოტი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 23.00 | 212 | გენკი-ბევერენი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | 213 | გენკი-ბევერენი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 | | | |

20 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 214 | ვესტერლო-ლუვიერი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 23.00 | 215 | მუსკრონი-ლიერსი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |

### ბელგია. II დივიზიონი. X ტური

20 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 216 | დაინცე-ვარეგემი | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |
| 18.00 | 217 | რუსელარე-რონსე | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |
| 18.00 | 218 | ვიზე-ინგელმუნსტერი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 18.00 | 219 | სტრომბეკი-სერენი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 18.00 | 220 | პატრო-ვესტერი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 18.00 | 221 | გეელი-ტინენი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 18.00 | 222 | ლიეჟი-დენდერლეუ | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 18.00 | 223 | ვირტონი-ეუპენი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 18.00 | 224 | ჰეუსდენი-დესელი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |

### ჩეხეთი. XI ტური

19 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.25 | 225 | სპარტა-ოპავა | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 226 | სპარტა-ოპავა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |

20 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 227 | სლავია-ზლინი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 18.30 | 228 | ბუდეიოვიცე-იაბლონეცი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| 19.30 | 229 | ბოჰემიანსი-სიგმა | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 19.30 | 230 | ლიბერეცი-ბლშანი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 231 | ლიბერეცი-ბლშანი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 19.30 | 232 | ტეპლიცე-პრიბრამი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 19.30 | 233 | ბრნო-ჰ.კრალოვე | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |

21 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 234 | ბანიკი-სლავია | 2,9 | 2,9 | 2,4 | 1,45 | 1,31 | 1,31 |

### პოლონეთი. X ტური

19 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 235 | პოლონია-პოგონი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 236 | პოლონია-პოგონი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 17.30 | 237 | გარბარნია-რუხი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 17.30 | 238 | ოდრა-ვისლა | 3,0 | 3,1 | 2,25 | 1,52 | 1,28 | 1,3 |
| 21.00 | 239 | კატოვიცე-გურნიკი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 21.00 | 240 | პლოცკი-ლეგია | 3,2 | 3,0 | 2,2 | 1,54 | 1,3 | 1,26 |
| 21.00 | 241 | ვიძევი-გროცლინი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 21.00 | 242 | ლეხი-ზაგლემბე | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 22.00 | 243 | ამიკა-ოსტროვეცი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 244 | ამიკა-ოსტროვეცი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |

### თურქეთი. IX ტური

18 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 245 | ფენერბაჩე-ადანა | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 246 | ფენერბაჩე-ადანა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |

19 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 247 | მალათია-გენჩლერბირლიგი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 17.30 | 248 | გოზთეპე-ისთანბული | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 21.00 | 249 | გალათასარაი-დიარბაქირი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| | 250 | გალათასარაი-დიარბაქირი 0:1 | 1,25 | 4,0 | 4,7 | | | |
| 21.00 | 251 | გაზიანთეპი-სამსუნი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |

20 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 252 | ელაზიგი-ალთაი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 21.00 | 253 | დენიზლი-ბეშიქთაში | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| 21.00 | 254 | ანკარაგუჩუ-ბურსა | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 21.00 | 255 | ტრაბზონი-კოჯაელი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 256 | ტრაბზონი-კოჯაელი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |

### შოტლანდია. პრემიერლიგა. XI ტური

19 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 257 | აბერდინი-დანდი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 258 | დანდი იუნაიტედი-ლივინგსტონი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 259 | კილმარნოკი-დანფერმლაინი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 19.00 | 260 | პარტიკი-ჰიბერნიანი | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 19.00 | 261 | რეინჯერსი-მაზერველი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | 262 | რეინჯერსი-მაზერველი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |

20 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 263 | ჰარტსი-სელტიკი | 6,0 | 3,8 | 1,45 | 2,32 | 1,16 | 1,04 |

### შოტლანდია. I დივიზიონი. X ტური

19 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 264 | ალოა-ინვერნესი | 3,0 | 3,4 | 2,1 | 1,59 | 1,23 | 1,29 |
| 19.00 | 265 | ფოლკირკი-ეარი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 266 | როსი-არბროთი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 267 | სტ.ჯონსტონი-სტ.მირენი | 1,75 | 3,4 | 4,0 | 1,15 | 1,21 | 1,83 |

### შოტლანდია. II დივიზიონი. X ტური

19 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 268 | ერდრი-ჰამილტონი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |
| 19.00 | 269 | კოუდენბითი-სტრანრაერი | 2,2 | 3,3 | 2,9 | 1,32 | 1,25 | 1,54 |
| 19.00 | 270 | რეითი-ბერიკი | 1,65 | 3,5 | 4,2 | 1,12 | 1,18 | 1,9 |
| 19.00 | 271 | სტენჰაუსმუირი-ფორფარი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |

### შოტლანდია. III დივიზიონი. X ტური

19 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 272 | ისტ სტირლინგი-ისტ ფაიფი | 3,4 | 3,5 | 1,85 | 1,72 | 1,19 | 1,21 |
| 19.00 | 273 | გრეტნა-ელგინი | 2,3 | 3,3 | 2,7 | 1,35 | 1,24 | 1,48 |
| 19.00 | 274 | პიტერჰედი-ალბიონი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 275 | ქუინზ პარკი-მონტროუზი | 2,5 | 3,3 | 2,4 | 1,42 | 1,22 | 1,38 |
| 19.00 | 276 | სტირლინგი-მორტონი | 2,6 | 3,3 | 2,35 | 1,45 | 1,23 | 1,37 |

### დანია. XII ტური

19 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 277 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |

20 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 278 | ესბიერგი-ფარუმი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 18.00 | 279 | აკადემისკი-ბრიონდბი | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |
| 18.00 | 280 | ვიბორგი-ოდენსე | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 18.00 | 281 | ორჰუსი-კოგე | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,13 | 1,19 | 1,83 |
| 20.35 | 282 | ოლბორგი-სილკებორგი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |

### ავსტრია. XIV ტური

19 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 283 | ავსტრია-ზალცბურგი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 284 | ავსტრია-ზალცბურგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.30 | 285 | გრაცერი-კერნტენი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 18.30 | 286 | პაშინგი-რაპიდი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 18.30 | 287 | ადმირა-რიდი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |

20 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 288 | ბრეგენცი-შტურმი | 3,3 | 3,2 | 2,05 | 1,62 | 1,26 | 1,24 |

### შვეიცარია. "A" ჯგუფი. XVI ტური

19 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 289 | აარაუ-იანგ ბოისი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 22.30 | 290 | ბაზელი-სტ.გალენი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 291 | ბაზელი-სტ.გალენი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 22.30 | 292 | ლუცერნი-სერვეტი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |

20 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.15 | 293 | გრასჰოპერი-ქსამაქსი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 294 | გრასჰოპერი-ქსამაქსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.15 | 295 | თუნი-ციურიხი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.15 | 296 | ვილი-დელემონი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |

### შვეიცარია. "B" ჯგუფი. XVI ტური

19 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 297 | ბადენი-კრიენსი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 20.30 | 298 | ვინტერთური-ბელინცონა | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 22.30 | 299 | ლოზანა-ვოლენი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 22.30 | 300 | სიონი-ივერდონი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |

20 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 301 | ლუგანო-კონკორდია | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 302 | ლუგანო-კონკორდია 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 17.30 | 303 | შაფჰაუზენი-ვადუცი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |

### შვედეთი. XXIV ტური

20 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 305 | აიკ-სუნდსვალი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 18.00 | 306 | გოტებორგი-ლანდსკრონა | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,17 | 1,19 | 1,74 |
| 18.00 | 307 | კალმარი-ჯურგორდენი | 4,0 | 3,6 | 1,65 | 1,89 | 1,16 | 1,13 |

21 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 308 | ჰალმსტადი-ოერებრო | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 22.00 | 309 | ჰელსინგბორგი-ორგრიტე | 2,7 | 3,3 | 2,3 | 1,48 | 1,24 | 1,35 |
| 22.00 | 310 | ჰამარბი-ნორჩეპინგი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |

### ნორვეგია. XXV ტური

19 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 311 | სოგნდალი-როზენბორგი | 4,0 | 3,6 | 1,65 | 1,89 | 1,16 | 1,13 |

20 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 312 | ბოდიო გლიმტი-მოსი | 1,9 | 3,4 | 3,4 | 1,21 | 1,21 | 1,7 |
| 17.00 | 313 | ბრანი-ლილესტრომი | 2,2 | 3,4 | 2,8 | 1,33 | 1,23 | 1,53 |
| 17.00 | 314 | სტაბეკი-მოლდე | 2,5 | 3,3 | 2,4 | 1,42 | 1,22 | 1,38 |
| 17.00 | 315 | ვიკინგი-ბრინი | 1,55 | 3,8 | 4,7 | 1,1 | 1,16 | 2,1 |
| 17.00 | 316 | ვოლერენგა-სტარტი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 317 | ვოლერენგა-სტარტი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |

21 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 318 | ოდ გრენლანდი-ლინი | 2,2 | 3,3 | 2,9 | 1,32 | 1,25 | 1,54 |

### ფინეთი. ფლეი ოფი

19 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 319 | ტამპერე-ლაჰტი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |
| 19.00 | 320 | ჰკ-ალიანსი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 321 | ჰკ-ალიანსი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 19.00 | 322 | მიუპა-ჰაკა | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |

20 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 323 | იარო-ინტერი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |

### ფინეთი. ფლეი აუტი

20 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 324 | ტპ 47-კტპ | 2,9 | 3,3 | 2,2 | 1,54 | 1,25 | 1,32 |
| 17.00 | 325 | იოკერიტი-ვაასა | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,64 |
| 20.30 | 326 | კუოპიო-ტურკუ | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,17 | 1,19 | 1,74 |
| 20.30 | 327 | ჯაზი-ჰაამეენლინა | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |

### საბერძნეთი. თასი. 1/16 ფინალი

21 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 328 | ირაკლისი-პანიონიოსი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |

### ჰოკეი. რუსეთი

19 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 609 | ლადა-დინამო | 1,95 | 4,4 | 2,4 | 1,35 | 1,07 | 1,55 |
| 16.00 | 610 | ს.იულაევი-მოლოტი | 1,25 | 5,6 | 5,6 | 1,02 | 1,02 | 2,8 |
| 16.00 | 611 | მაგნიტოგორსკი-სევერსტალი | 1,95 | 4,4 | 2,4 | 1,35 | 1,07 | 1,55 |
| 16.00 | 612 | მეჩელი-აკ | 1,45 | 4,7 | 3,8 | 1,1 | 1,04 | 2,1 |
| 16.00 | 613 | ამური-ავანგარდი | 2,8 | 4,4 | 1,7 | 1,71 | 1,05 | 1,22 |
| 16.00 | 614 | ცსკა-სპარტაკი | 1,75 | 4,7 | 2,7 | 1,27 | 1,06 | 1,71 |
| 16.00 | 615 | ლოკომოტივი-ნოვოკუზნეცკი | 1,25 | 5,6 | 5,6 | 1,02 | 1,02 | 2,8 |
| 16.00 | 616 | კრილია-ხიმიკი | 1,5 | 5,0 | 3,4 | 1,15 | 1,04 | 2,02 |

20 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 617 | აკ ბარსი-ნეფტეხიმიკი | 1,3 | 5,3 | 5,0 | 1,04 | 1,03 | 2,57 |

### ჰოკეი. ჩეხეთი

18 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 627 | ტრშინეცი-ზნოიმო | 1,75 | 4,2 | 2,8 | 1,23 | 1,07 | 1,67 |
| 20.00 | 628 | ზლინი-პარდუბიცე | 2,45 | 4,2 | 1,95 | 1,54 | 1,08 | 1,33 |
| 20.00 | 629 | ჰავირჟოვი-ვიტკოვიცე | 2,45 | 4,2 | 1,95 | 1,54 | 1,08 | 1,33 |
| 20.30 | 630 | პლზენი-ლიბერეცი | 1,55 | 4,4 | 3,4 | 1,14 | 1,06 | 1,91 |
| 20.30 | 631 | კარლოვი ვარი-სპარტა | 2,6 | 4,2 | 1,85 | 1,6 | 1,08 | 1,28 |
| 20.30 | 632 | ბუდეიოვიცე-ლიტვინოვი | 2,2 | 4,2 | 2,2 | 1,44 | 1,1 | 1,44 |
| 21.00 | 633 | სლავია-ვსეტინი | 1,55 | 4,4 | 3,4 | 1,14 | 1,06 | 1,91 |

### ჰოკეი. შვეიცარია

19 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 642 | ფრიბურგი-ამბრი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 22.30 | 643 | სერვეტი-კლოტენი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 22.30 | 644 | ლუგანო-რაპერსვილი | 1,55 | 4,4 | 3,4 | 1,14 | 1,06 | 1,91 |
| 22.30 | 645 | ლანგნაუ-ბერნი | 2,15 | 4,2 | 2,25 | 1,42 | 1,09 | 1,46 |
| 22.30 | 646 | ციურიხი-დავოსი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 22.30 | 647 | ცუგი-ლოზანა | 1,85 | 4,2 | 2,6 | 1,28 | 1,08 | 1,6 |

### ჰოკეი. გერმანია

18 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 655 | ფრანკფურტი-კიოლნი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 22.30 | 656 | იზერლონი-ნიურნბერგი | 2,15 | 4,2 | 2,25 | 1,42 | 1,09 | 1,46 |
| 22.30 | 657 | აისბარენი-ჰანოვერი | 1,45 | 4,4 | 4,0 | 1,09 | 1,06 | 2,09 |
| 22.30 | 658 | დიუსელდორფი-კრეფელდი | 1,65 | 4,4 | 3,0 | 1,2 | 1,06 | 1,78 |
| 23.00 | 659 | შვენინგენი-მანჰაიმი | 2,8 | 4,2 | 1,75 | 1,67 | 1,07 | 1,23 |

### ჰოკეი. ფინეთი

18 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 692 | იოკერიტი-ჰელსინკი | 1,6 | 4,2 | 3,3 | 1,15 | 1,07 | 1,84 |

### ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.10 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (IX ტური) | 25 ან ნაკლები - 1,9 | 27 ან მეტი - 1,9 |
| 19.10 16.00 | 2602 | ინგლისი პლ. (X ტური) | 25 ან ნაკლები - 1,9 | 27 ან მეტი - 1,9 |
| 19.10 21.00 | 2603 | იტალია "A" (VI ტური) | 23 ან ნაკლები - 1,9 | 25 ან მეტი - 1,9 |
| 19.10 23.30 | 2604 | ესპანეთი Iდ. (VI ტური) | 26 ან ნაკლები - 1,9 | 28 ან მეტი - 1,9 |
| 19.10 20.15 | 2605 | საფრანგეთი Iდ. (XI ტური) | 22 ან ნაკლები - 1,9 | 24 ან მეტი - 1,9 |
| 19.10 24.00 | 2606 | პორტუგალია Iლ. (VII ტური) | 23 ან ნაკლები - 1,9 | 25 ან მეტი - 1,9 |
| 18.10 23.00 | 2607 | ჰოლანდია Iდ. (VIII ტური) | 25 ან ნაკლები - 1,9 | 27 ან მეტი - 1,9 |
| 19.10 23.00 | 2607 | ბელგია Iდ. (IX ტური) | 26 ან ნაკლები - 1,9 | 28 ან მეტი - 1,9 |
| 18.10 22.00 | 2608 | თურქეთი. (IX ტური) | 26 ან ნაკლები - 1,9 | 28 ან მეტი - 1,9 |

სპორტული ლატარია

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[o] კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები

ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48, მელიქიშვილის ქ. №15

## კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



# ნიკა ცქიტიშვილი სულ ჰაერშია

## ქალაქიდან ქალაქში, ფარიდან ფარზე ამაღამ ძმაკაცთან დავრჩები

*ბოლო კვირაა, ნიკა ცქიტიშვილი ნაღდი ნბა-ელის გრაფიკით ცხოვრობს: ქალაქიდან ქალაქში, აეროპორტიდან აეროპორტში, დარბაზიდან დარბაზში და ასე გაუთავებლად — „დენვერ ნაგიტსი" საგამოფენო მატჩებშია ჩაბმული და კარსმომდგარი სეზონის წინ არცთუ ურიგოდ გამოიყურება. ამ მიდი-მოდიში ცქიტიშვილი ნბა-ს ბევრ ვარსკვლავს შეხვდა, ზოგს მოედანზეც გაეჯიბრა და როგორც ამბობს, თავი არ შეურცხვენია. ადვილი შესამჩნევია, რომ ნიკა საგამოფენო მატჩებს ისეთივე წარმატებით ველარ თამაშობს, როგორც მანამდელ ამხანაგურ შეხვედრებს, თუმც: „საგამოფენო მატჩებს გუნდები სრული შემადგენლობით თამაშობენ, ეს შეხვედრები ბევრით არაფრით ჩამოუვარდება რეგულარული ჩემპიონატის მატჩებს და რა გასაკვირია, რომ ჩემმა შედეგიანობამაც იკლო. საგანგაშო არაფერია, მწვრთნელები ისევ მენდობიან და მეც ვცდილობ თავის გამოჩენას" — იმედიანადაა ნიკა... „სარბიელთან" ცქიტიშვილის საუბარი „ინდიანა" — „დენვერის" დასრულებიდან სამიოდ საათში შედგა*

**— სანამ წინა მატჩებზე ვისაუბრებთ, „ინდიანასთან" თამაშზე გკითხავ.**

— ინდიანაპოლისიდან დენვერში ეს-ესაა ჩამოვფრინდით, შეხვედრა საინტერესო და დაძაბული გამოდგა. თავიდან ძალიან ჩამოვრჩით, მაგრამ ბოლო მეოთხედში ყველაფერი გამოვკვიდოდა, თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე დავწინაურდით კიდეც, თუმც „ვაშინგტონთან" წინა მატჩის არ იყოს, ბოლო წუთზე არ გაგვიმართლა და 86:91 დავმარცხდით.

**— ამჯერად რამდენ ხანს გათამაშა ჯეფ ბზდელიკმა?**

— 15 წუთი. მართალია, მხოლოდ 2 ქულა ჩავაგდე, მაგრამ საერთო ჯამში ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. მოხსნებში ერთ-ერთი საუკეთესო ვიყავი დენვერელთაგან, არც დაცვაში მითამაშია ცუდად.

**— დაცვაში კონკრეტულად რას გულისხმობ?**

— ჩემს ოპონენტს კარგად ვიჭერდი. რაც მოედანზე ვიყავი, ჯამალ ტინსლის ქულა არ ჩაუგდია. ადრეც მითქვამს, რომ დაცვა „დენვერის" მთავარი იარაღია და თუ ამ სათამაშო რგოლში გამოიჩენ თავს, გარეკას ცუდად არ შეგიფასებენ-მეთქი. ასე რომ, იმაში, მხოლოდ ორი ქულა რომ ჩავაგდე, საგანგაშო არაფერია.

**— თქვი, ჯამალ ტინსლის ვიჭერდიო. ეგ კალათბურთელი მსროლელის პოზიციაზე თამაშობს, შენ კი ფრთა ხარ.**

— მსროლელსა და ფრთას შორის ყველაზე ნაკლები განსხვავებაა დანარჩენ პოზიციებთან შედარებით, ყოველ შემთხვევაში, ბზდელიკი ასე მიიჩნევს. ამიტომაც ორი ნომრის დაჭერაც ხშირად მიწევს. „ინდიანასთანაც" ამ დავალებით შემიშვა მწვრთნელმა მოედანზე.

**— ფაქტობრივად, უკანა ხაზში გითამაშია ინდიანაპოლისში, არადა, მეტოქის ფარზე სამჯერ მოხსენი ბურთი.**

— ბოლო დროს მეტოქის ფარქვეშ უფრო თამამად შევდივარ. „ინდიანასთან" თითქმის სულ ჰაერში ვიყავი გამოკიდებული, თუმც იმასაც კარგად მივხვდი, რომ ფიზიკურად კიდევ ბევრის მომატება მმართებს.

**— საგამოფენო მატჩებში, როგორც ჩანს, გიჭირს, არადა, მანამდე მოედანზე ნაკლები პრობლემები გქონდა. მაშინ იმედიანად იყავი, ახლა აზრი ხომ არ შეიცვალე?**

— რაც თქვი, მართალია და მაგაში უცნაური არაფერია. ზაფხულში „დენვერის" სათადარიგოებთან და ახალბედებთან ერთად მიწევდა თამაში, ასევე იყვნენ ჩვენი მოწინააღმდეგე გუნდებიც. ახლა კი კლუბებს წამყვანი მოთამაშეები დაუბრუნდნენ და ჩემმა შედეგიანობამაც ისევე იკლო, როგორც სხვა ახალბედებისა. განა ილარიომ არ მოუკლო, ბოლო ორ მატჩში ყველაზე მეტი, მგონი, მან ითამაშა და მხოლოდ 6 ქულა ჩააგდო.

**— არც ისე კარგად იღლება ილარიო, მაგრამ მაინც შენზე მეტხანს ათამაშებენ.**

— ეგ იმიტომ, რომ ცენტრის პოზიციაზე ორი კალათბურთელია მხოლოდ, ძირითადი მარკუს კემბი დაშავებულია. ჩემს პოზიციაზე კი უფრო დიდი კონკურენციაა, ზემოთაც ვთქვი, რომ ორი და სამი ნომრები ბზდელიკისთვის თითქმის ერთია, „დენვერის" წამყვანები კი სწორედ ამ ამპლუისანი არიან.

**— მკვლებურად რომ ვეღარ აქტიურობ, მწვრთნელისგან უკმაყოფილებას ხომ არ გრძნობ?**

— არა, ბზდელიკს „დენვერის" ახალბედებზე ჯერ ცუდი არ დასცდენია. იგი, ისევე როგორც ნბა-ს ყველა მწვრთნელი, დღევანდელი დღით არ ზომავს ახალბედა კალათბურთელის ავკარგიანობას. ბზდელიკი ადრეც ამბობდა, ახლების იმედი მაქვსო და ახლაც იგივეს იმეორებს. არც მისთვისაა მოულოდნელი, რომ შედარებით მაღალი დონის მატჩებში გაგვიჭირდა. ის კი არა, სანამ საგამოფენო თამაშები დაგვეწყებოდა, ბზდელიკი თავად გვაფრთხილებდა და გვამხნევებდა, ალბათ, გაგიჭირდებათ და არ შეშინდეთო. თქვენთვის მთავარია გამოცდილების მიღება და ამას საკმაო დრო დასჭირდებაო, გვამხნევებდა.

**— როგორც ბოლო მატჩებში გამოჩნდა, „დენვერი" არცთუ სუსტი გუნდია. ჩემპიონი „ლეიკერსი" დაამარცხეთ, „დალასს", „ინდიანასა" და „ვაშინგტონს" კი ტოლი არაფერში დაუდეთ. იქნებ ეს გუნდები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ საგამოფენო მატჩებს?**

— არ ვიცი, საბრძოლო შემადგენლობით კი თამაშობენ. „ლეიკერსს" მხოლოდ შაკილ ონილი აკლდა, თუმც 22 ქულით დავამარცხეთ. ისე კი, ამ მატჩებში მთავარი მოთამაშეთა მზადყოფნის დადგენა და გუნდის ძირითადი შემადგენლობის შერჩევაა. თუმც ეს არ ნიშნავს, რომ თამაშის კლასი დაბალია, ყველა ცდილობს თავის გამოჩენას და დაძაბული ბრძოლებიც ხშირია.

**— როგორც შევატყვე „ინდიანასთან" შენი თამაშით კმაყოფილი ხარ. მანამდელ მატჩებზე რას იტყვი?**

— სხვა შეხვედრებში ვერაფრით გამოვიჩინე თავი, თანაც არც საკმაო დროით ვიყავი მოედანზე. საგამოფენო თამაშებში დღევანდელს მივიჩნევ ჩემთვის საუკეთესოდ.

**— თქვი, შაკილ ონილმა არ ითამაშაო, „ლეიკერსს" სხვა ვარსკვლავებიც ჰყავს.**

— ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო „ლეიკერსთან" თამაში. ჩემთან ერთად მოედანზე ნბა-ს ცნობილი ვარსკვლავები იყვნენ. კობი ბრაიანტთან ერთად მომიწია თამაშმა, თუმც მისი დაჭერა არ მევალებოდა და პირისპირ არ შევხვედრივარ.

**— „ლეიკერსამდე" „დალასს" შეხვდით. დირკ ნოვიცკიზე რას იტყვი?**

— ის გენიოსი და გუნდის ლიდერია. მოედანზე რომ შევედი, ნოვიცკი უკვე გასული იყო. არადა, ერთად რომ ვყოფილიყავით, ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის მაინც მოგვიწევდა ბრძოლა, ჩვენ ხომ თითქმის ერთი სიმაღლისანი ვართ.

**— „ვაშინგტონთან" არ გაგიმართლა, მაიკლ ჯორდანი საქმეში ვერ ნახე.**

— ჯორდანი სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მოედანზე არ გამოსულა. მთელი დარბაზი და მათ შორის მეც მის თამაშს ველოდით, მაგრამ. ჩრდილოეთ კაროლინა ჯორდანის მშობლიური შტატია, „ვაშინგტონთან" შეხვედრაც იქ გაიმართა და დარბაზი სავსე იყო. როცა იგი მოედანზე გამოვიდა შემადგენლობების გამოცხადებისას, შუქი ჩააქრეს და პროჟექტორები მხოლოდ ჯორდანს ანათებდნენ. დარბაზი კინაღამ დაინგრა.

**— გამოდის, ნბა-ს ვარსკვლავებთან ერთად არ გითამაშია.**

— ჯორდანისა და ონილის დონის მოთამაშეებთან არა, მაგრამ უამრავ ცნობილთან მომიწია თამაშმა. „ვაშინგტონთან" 7 წუთი ვიყავი მოედანზე, მის ერთ-ერთ ლიდერთან, ჯერი სტეკჰაუზთან არაერთხელ მომიწია გაჯიბრებამ და ურიგოდ არ გამომსვლია.

**— დიდი სხვაობაა ამ და იმ მატჩებს შორის, ზაფხულში რომ იმართებოდა?**

— არც ისე დიდი. მგონი, გუნდებს წამყვანი მოთამაშეები რომ დაუბრუნდებიან, ვერაფერს გავაკეთებ-მეთქი, მაგრამ არც ასე ყოფილა საქმე. მთავარი სითამამე და მონდომებაა, მიუღწეველი არაფერია.

**— ახალ სახლში გადახვედი?**

— მართალი გითხრა, ახლა სწორედ იმაზე ვფიქრობ, სად დავრჩე ამაღამ. ინდიანაპოლისში რომ მივფრინავდით, სასტუმროს ნომერი ადმინისტრატორს ჩავაბარე და დავემშვიდობე ახალ სახლში გადავდივარ-მეთქი, ახლა კი შევიტყვე, რომ ახალ ბინაში ავეჯი ჯერ არ შეუტანიათ. ალბათ პრედრაგ სავოვიჩთან დავრჩები, მეგობარია.

**ირაკლი ბერტაია**



# ფერარიმ და შუმახერმა FIA სისულელეზე დააფეხმძიმეს

## მონტეძემოლო ბოიკოტით იმუქრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კვირას** დასრულებულ 53-ე საფორმულო ჩემპიონატში გასაკვირი და მოულოდნელი არაფერი მომხდარა — ორივე, პილოტ-გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა იმან, ვისაც უნდა ეპირველა. თუმც ასეთ არნახულ დომინირებას ალბათ თავად ტრიუმფატორებიც არ ელოდნენ.

მართალია, სეზონის დაწყებამდე უპირობო ფავორიტებად სწორედ „ფერარი" და მისი 33 წლის პრემიერი მიხაელ შუმახერი ითვლებოდნენ, მაგრამ წითლების ამგვარი ტოტალური ტერორი მაინც ძნელად სავარაუდო იყო.

სკუდერიელთა რომელი მიღწევა ჩამოვთვალოთ: მიხაელის მიერ ჩემპიონატის ფინიშამდე ექვსი ეტაპით, ანუ წარმოუდგენლად ადრე ტიტულის განაღდება, თანაც უკვე მეხუთედ, რაც ლეგენდარული არგენტინელის ხუან მანუელ ფანხიოს 45 წლის წინანდელი რეკორდის გამეორებაა, შუმახერ-ფერარის მოგებული რბოლების (შესაბამისად 11 და 15) და დაგროვილი ქულების (144 და 221) რაოდენობა, ჩემპიონის გაუგონარი, 67-ქულიანი უპირატესობა მეორე პრიზიორზე და, ცხადია, ისიც, რომ შუმახერი წლევანდელი ჩვიდმეტივე ეტაპის შემდეგ პოდიუმზე იდგა, რაც მხოლოდ პილოტის კი არა, მისი მომსახურე ტექპერსონალის გასაოცარი, უნაკლო მუშაობის შედეგია. თუკი ყოველივე ამას შარშანდელ ბოლო ხუთ შედეგიან ეტაპსაც მივათვლით, გამოდის, რომ მიხაელის მანქანა თითქმის წელიწადნახევარში ერთხელაც არ გაფუჭებულა. აფერუმ, ფერარელებო!

მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ „ფერარისა" და შუმახერ-ბარიკელოს არანორმალური უპირატესობა გახდა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) შეშფოთების საგანი, აქაოდა, წითლების დიქტატი სამეფო რბოლებისადმი ინტერესს კლავს, რითაც მაყურებლები (ტელეც და ავტოდრომის ტრიბუნებზეც), აგრეთვე მერეკლამეები, ანუ მრავალმილიონიანი შემოსავალი ხელიდან გვეცლებაო. ფედერაცია ხომ სწორედ აღნიშნული წყაროებითაა წელგამართული. განტევების ვაცის როლიც, მათი აზრით, მიხაელმა უნდა იტვირთოს, ულტიმატუმის ფორმით არა, მაგრამ დაუფარავად აგრძნობინებენ, კარგი იქნება, თუ აღარ ირბოლებ, ისედაც ხომ უკვე ყველაფერი მოიხვეჭეო. ასეთნაირად ძალთა გათანაბრება ბევრის აზრით ჩემპიონატს ინტერესს და ინტრიგას დაუბრუნებს, რადგან უმეფოდ დარჩენილი, ესე იგი, თანაბარ პირობებში აღმოჩენილი პრეტენდენტები (ხუან პაბლო მონტოია, დევიდ კულჰარდი, რალფ შუმახერი, რუბენს ბარიკელო) ერთმანეთში უშელავათო ბრძოლას გააჩაღებენ და გამარჯვებულიც ალბათ სეზონის ბოლოსღა გახდება ცნობილი. მაგრამ იმას რა მოვუხერხოთ, რომ ჯერ მხოლოდ „ქრისტეს ასაკის" მიხაელი პენსიაზე არც ფიქრობს, რბოლები კვლავინდებურად სიამოვნებას მანიჭებს, ესეც რომ არ იყოს, „ფერარისთან" კიდევ ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებსო.

შუმახერის საპენსიო ნაბიჯამდე FIA შესაძლოა სულაც გაკოტრდეს, ამიტომ ფედერაციის ხელმძღვანელობამ, კერძოდ კი ვიცე-პრეზიდენტმა ბერნი ეკლსტოუნმა თავ-ფულის გადარჩენის ანტიშუმური ღონისძიებები მოიფიქრა, რომელთაგან უმთავრესია ბევრისგან უკვე გამასხრებული ჰანდიკაპის ვარიანტი — მიხაელი თუკი გაისადაც უსაშველოდ გაიჭრება წინ სატურნირო ცხრილში, მისი მანქანა იმდენკილოგრამიანი ზედმეტი ტვირთით, ანუ ბალასტით დავამძიმოთ, რამდენქულიანი უპირატესობაც ექნება უახლოეს მდევართანო. ეკლსტოუნის აზრით, მიხაელის ბოლიდი ასეთნაირად მაინც დანელდება და მეტოქეებსაც გასწრების თუ არა, წამოწევის შანსი მაინც გაუჩნდებათ.

ძალთა ნიველირების ამგვარ აბსურდულ, ზოგის აზრით, უტვინო წინადადებას ფორმულა I-ის ბოსთა უმეტესობა კრიტიკით შეხვდა (ედი ჯორდანის გარდა), არადა, ეკლსტოუნის იდეის „გასატარებლად" სწორედ მათი მხარდაჭერაა აუცილებელი. მსოფლიოს ექსჩემპიონ დეიმონ ჰილის აზრით, FIA-ს ახალი ღონისძიებები არაპროფესიული, სასაცილო და დამამცირებელია არა მხოლოდ საერთოდ ფორმულისთვის, არამედ პირველ რიგში იდეის ავტორებისთვის.

ცხადია, ხმა „ფერარის" პრეზიდენტმა ლუკა დი მონტეძემოლომაც აიმაღლა: „ჩვენ მუდამ გაგებით ვეკიდებოდით ფედერაციის ხელმძღვანელობის ყოველ სიახლეს, მაგრამ ბოლო წინადადებები აშკარად იდიოტურია. უბრალოდ, არ მესმის, რატომ უნდა დაისაჯოს ის, ვინც სხვებზე ძლიერია. დარწმუნებული ვარ, ასეთ აბსურდამდე საქმე არ მივა. ხოლო თუ ეს წინადადებები მაინც გავა, ჩვენ შესაძლოა ჩემპიონატში მონაწილეობა აღარ მივიღოთ და საქმიანობა სხვა სფეროში გავაგრძელოთ."

ფედერაციის ჩინოსნები, ეტყობა, უფრო იმან გააცეცხლა, რომ ფერარელებმა უზარმაზარი უპირატესობის მოპოვების შემდეგ ორ-სამ რბოლაში ერთმანეთისთვის გამარჯვების მიცემ-მოცემის სპექტაკლი მოაწყეს, რაც ფორმულის პრესტიჟისთვის მძიმე დარტყმა გამოდგა.

ჩიხში შესული ვითარება ათ დღეში გაირკვევა ლონდონში, FIA-ს მსოფლიო საბჭოს საგანგებო სხდომაზე.

**გია ახალაძე**




ფერარელთა ქრონიკულმა ტრიუმფმა ბევრს გაუფუჭა გუნება

# გატყავდა კაცი
## აგასის ჰიუიტის გადაგდება უნდა




ანდრე აგასი სეზონის ბოლოს პირველობას ემურება

**მასტერსის სერია**
მადრიდი. პარკეტი.
საპრიზო 2,950 მილიონი $

**მეორე წრე**

**ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — ტომი ჰაასი (1, გერმანია) 7:6 (9:7), 4:1 (ჰაასმა შეწყვიტა); **ანდრე აგასი** (2, აშშ) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 6:4, 6:4; **პარადორნ შრიჩაფანი** (ტაილანდი) — ტიმ ჰენმანი (4, ბრიტანეთი) 3:6, 6:3, 6:3; **ალექს კორეჩა** (ესპანეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (9, რუსეთი) 3:6, 6:3, 6:4; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — ენდი როდიკი (10, აშშ) 6:3, 6:4; **ირჟი ნოვაკი** (11, ჩეხეთი) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:1, 6:1; **როჯერ ფედერერი** (12, შვეიცარია) — მარსელო რიოსი (ჩილე) 6:4, 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა) — გილერმო კანასი (13, არგენტინა) 4:6, 6:3, 6:3; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) — სხენგ შალკენი (14, ჰოლანდია) 7:6 (11:9), 6:4; **ტომას იოჰანსონი** (15, შვედეთი) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 2:6, 6:3, 6:4; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — იუნეს ელ აინაუი (16, მაროკო) 6:7 (6:8), 6:4, 6:2; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:3, 6:2

მადრიდულ „ელ როკოდრომოში" იმ დღეს თერთმეტმა განთესილმა ითამაშა, მაგრამ მესამე წრეს მხოლოდ ოთხმა მათგანმა უწია. წაბორძიკებულებს შორის აღმოჩნდა ტურნირის სეფემჩოგნე ტომი ჰაასიც, ვისაც გაუთავებელი ტრავმებისა და მშობლების ავტოკატასტროფაში დაშავების გამო ისედაც წამურდლული სეზონი მორიგმა ტრავმამ კიდევ უფრო გაუსაძაგლა. გერმანელს ამჯერად მარჯვენა ხელი გადაეხეხა, უფრო სწორად, მარჯვენა ხელისგული, რაც თურმე ჩოგნის ზანგრძლივად ჩაბღუჯვის ბრალი ყოფილა.

„ხელი ისეთ დღეში მაქვს, ორი დღეა, არაფრისთვის მიხლია — იმართლებოდა მერე ტომი — დღეს პირველ სეტში კიდევ გავუძელი, მეორეში კი ისე შემაწუხა, თამაშის გაგრძელება გამორიცხული იყო... ტურნირიდან ასეთი ნაადრევი ოტება, ცხადია, შანხაიში მოხვედრას მაგრად გამირთულებს, მაგრამ თვის ბოლომდე გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. პარიზამდე მეტნაკლებ შანსებს ყველა ვინარჩუნებთ, ნაპარიზევს კი უკვე დასტურ გვეცოდინება, ვინ ითამაშებს წლის დამაგვირგვინებელ ტურნირში და ვინ ვერა".

ახლა კი, სანამ დანარჩენი მატჩების მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, ერთხელაც წარმოგიდგენთ ჩემპიონთა რბოლის საამკვირაო ვითარებას, რათა მკითხველმა თავადაც განსაჯოს, ვის როგორი და რანაირი შანსები აქვს წლის დამაგვირგვინებელ რვაკაცა ტურნირზე მოსახვედრად.

1 (1) ლეიტონ ჰიუიტი 697
2 (2) ანდრე აგასი 554
3 (3) მარატ საფინი 468
4 (4) ხუან კარლოს ფერერო 425
5 (5) ტიმ ჰენმანი 420
6 (6) კარლოს მოია 406
7 (10) როჯერ ფედერერი 398
8 (7) ალბერტ კოსტა 393
9 (8) ტომი ჰაასი 388
10 (9) ენდი როდიკი 383
11 (11) ირჟი ნოვაკი 376
12 (12) პიტ სამპრასი 347
13 (13) გილერმო კანასი 329
14 (14) ტომას იოჰანსონი 315
15 (15) ალექს კორეჩა 296
16 (16) სხენგ შალკენი 289
17 (17) ფერნანდო გონსალესი 286
18 (17) იუნეს ელ აინაუი 285
19 (19) დავიდ ნალბანდიანი 284
20 (20) გასტონ გაუდიო 279

შეგახსენებთ, რომ მასტერსტურნირებზე მეთექვსმეტედფინალში გასულს 7 ქულა ერიცხება, მერვედფინალისტს — 15, მეოთხედფინალისტს — 25, ნახევარფინალისტს — 45, ფინალისტი საქულე მარაგს 70 ერთეულით იმდიდრებს, გაპირველება კი სულაც 100 ქულად ფასობს...

რაც შეეხება დანარჩენ გაძევებულ ბობოლებს, ამათგან ჰაასის მარცხის მომდევნოდ გამოსარჩევი ვინძლო მეოთხე ნომრად განთესილი ტიმ ჰენმანის გავარდნა იყოს. ბრიტანელთა მთავარიმედი კაცთა საჩოგნეთის „ავტორიტეტთა რისხვამ", წინა წრეში გუსტავო კუერტენის მძლეველმა პარადორნ შრიჩაფანმა გააბუნძურა. უკანასკნელ 26 შეხვედრაში ეს დაულალავი, ბასრი და აგრესიული ტაილანდელის მე-20 გამარჯვება გახლდათ. ამ წარმატებული სერიისას მან ლონგ აილენდში კარიერის პირველი ტიტული მიითვალა და ვაშინგტონურ ფინალსა თუ ტაშკენტურ-ტოკიოურ ნახევარფინალებში თამაშიც მოახერხა.

ჰენმანისთვის, ვისმა მეუღლე ლუსიმაც დღე-დღეზე მათი პირმშოს უნდა შვას, ეს მარცხი ისეთივე სახიფათოა, როგორც ჰაასისთვის. მაშინ, როცა ისინი თავიანთ საქულე მარაგს მხოლოდ 7-7 ქულით გაიმდიდრებენ, მისი კონკურენტების — კარლოს მოიას, ხუან კარლოს ფერეროს, როჯერ ფედერერისა და ირჟი ნოვაკის მონაგარმა უკვე 15-15 ქულით იმატა.

ჰენმანი: „შანხაიში თამაში ჩემი უდიდესი მიზანია, ამ წაგებამ კი კვანტი დამიდო... პარადორნზე რა გითხრათ, მის დარად წლეულს არავის მოუმატებია, გადასარევად თამაშობს და ბოლო თვეებში რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვებაც შეძლო".

შრიჩაფანი: „მსიამოვნებს, როცა წაგების მიუხედავად, ბიჭები ერთმანეთზე კარგს ლაპარაკობენ, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ. შექება და კარგის დანახვა განსაკუთრებით დამწყებებს სიამოვნებთ, რომელთაც შეიძლება არაფერი აკლდეთ თვითრწმენის და საკუთარ ძალებში დაჯერებულობის გარდა".

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი სეზონი პარადორნმა მსოფლიოში 120-ე მეჩოგნედ გაასრულა, ამ მომენტისთვის კი ხელთ უკვე 28-ე ჩოგანი უპყრია. „ამ მოგებებით ცხადყვე, რომ უფრო მაღალ ადგილს ვიმსახურებ, იმედია, მალე ჯერ ზეოცეულში მიხილავთ, მერე კი ზეათეულშიც" — მის ამ სიტყვებზე ახლა უკვე აღარავის ეცინება...

სხვაფრივ:

ქომაგთა საშინელ ღრიანცელსა და ყიჟინში ჩაიარა ალექს კორეჩასა და ევგენი კაფელნიკოვის სამსეტიანმა ბუღრაობამ, რომელიც სკვითის იავარქმნით დასრულდა. ეს მათი მე-8 შეხლა იყო და ესპანელმა თავის ანგარიშზე მესამე გამარჯვება ჩაიწერა.

მერვედფინალში რუსთა ინტერესებს მხოლოდ 20 წლის მიხაილ იუჟნი დაიცავს, ვინაც თავისკბილა ამერიკელს, ენდი როდიკს უპრობლემოდ აჯობა. ამერიკელთა ამომავალ ვარსკვლავს უკვე ოთხი შეხვედრაა, არ მოუგია — აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალში პიტ სამპრასთან დამარცხების შემდეგ მან ორი დევისმატჩი როლანგაროსულ თიხნარზეც დათმო.

ტურნირს ჩოგნის გაუქნევლად გამოეთიშა მე-6 ნომრად განთესილი ალ კოსტა. წლევანდელმა მეროლანგაროსემ ერთ-ერთი ვარჯიშისას წელი იტკინა და ჩოგნაობაც ამად იუარა.

ნასვენი, ჩვეულებისამებრ შუშპარა და დახვეწილი ჩანს ანდრე აგასი, რომელმაც თავისი, ტურნირზე რანგით მე-2 ჩოგანი იმ დღეს უმცროს თვისტომ ჟან-მაიკლ გემბილს შემოჰკრა. ეს მათი მე-12 მატჩი გახლდათ და 7-გზის მესლემტიტულე ჯადოანდრანიკი გემბილს უკვე 10:2 უგებს.

იქ მოჩოგნავე ბობოლათაგან განსხვავებით შანხაიში უკვე თავდაგულებულ აგასის სხვა მიზანი აქვს — სეზონის ბოლომდე დარჩენილ დროში იგი ეცდება, ლეიტონ ჰიუიტს კაცთა ამქრის პირველმეჩოგნეობა ჩამოართვას. საამისოდ მან ჯერ მადრიდულ, ხოლო მერე პარიზულ მასტერსსარბიელებზე უნდა გაიპარპაშოს.

აგასი: „სეზონის პირველმეჩოგნედ გასრულება ყველასთვის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ჩემთვის — ჩემს ასაკს და კიდევ იმასაც თუ გავითვალისწინებთ, ამა თუ იმ მიზეზით წლეულს რამდენ ტურნირს დავაკლდი — ეს მართლაც საუცხოო რამე იქნებოდა. ამ წელსაც კაცურად გავაცილებდი და მომავალი სეზონისთვისაც რიგიანი განწყობილება დამეკვებებოდა... საერთოდ, იცით როგორაა — წაგებები ახლა უფრო მწყვეტს გულს, ვიდრე ადრე, ახლა ხომ დრო გარბის და შანსებიც სულ უფრო და უფრო გიმცირდება; სამაგიეროდ, გამარჯვებებს უფრო მეტი სიხარული მოაქვს... ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ყოველდღიურად ვუმატებ, და ეს სწორედ ის გრძნობაა, რაიც ახლა განსაკუთრებით მჭირდება".

**SWISSCOM CHALLENGE**
ციურიხი. პარკეტი
საპრიზო 1,224 მილიონი $

**მეორე წრე**

**კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) — ჯენიფერ კაპრიატი (1, აშშ) 6:0, 6:3; **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:2, 6:2; **ჟუსტინ ენენი** (4, ბელგია) — ანა სმაშნოვა (ისრაელი) 6:3, 6:1; **მარი-გაიანე მიქაელიანი** (შვეიცარია) — ანასტასია მისკინა (8, რუსეთი) 0:6, 6:4, 7:5

„როცა უილიამსები არ თამაშობენ, მაშინ ტურნირზე მოპაექრე გოგოს იმედი აქვს, რომ მოგება მასაც შეუძლია" — განაცხადა ისრაელელი ანა სმაშნოვას დამარცხების შემდეგ ბელგიელმა ჟუსტინ ენენმა.

„ასეთ ვითარებაში ნებისმიერი მეტოქე სახიფათოა, რადგანაც იმ განწირულების გრძნობისგან, რასაც შავდების ტურნირზე ყოფნა იწვევს, ყველა თავისუფლდება. უმათოთ გაჩემპიონების შანსი ყველას ეძლევა და თითოეული ჩვენგანი ცდილობს, არავის არაფერი დაუთმოს".

მეოთხედფინალში 20 წლის ცილა, მაგრამ ჯანიანი ბელგიელი ადგილობრივთა იმედთაგანს, მარი-გაიანე მიქაელიანს შეხვდება. ამ არმენოალპელმა გოგომ იმ დღეს აგრესიული სკვითი, ანასტასია მისკინა დაიმორჩილა, როცა პირწმინდად წაგებული პირველი სეტის სანაცვლოდ მისთვის ორის უკუგება შეძლო.

მიქაელიანი 18 წლისაა და მსოფლიო კლასიფიკაციაში 48-ე ადგილზე მყუდრობს...

იმ დღეს კიდევ ერთი რუსი გოგო, ტატიანა პანოვაც დაიჩაგრა — ამის გაკეთება ლინდსი დევენპორტმა იკისრა. თავისზე 35 სანტიმეტრით დაბალი და 22 კილოთი მსუბუქი სკვითი მან სულ რაღაც 50 წუთში ააბარგა.

ნამატჩევს ლინდსი მის ამჟამინდელ რიგიან ფორმასა და კიდევ იმაზე საუბრობდა, რომ მისი უმთავრესი მიზანი ლოსანჯელესში გასამართ, წლის შემაჯამებელ ჩემპიონატზე გამოსვლაა.

„ჯერ კიდევ ყავარჯნებით დავდიოდი, როცა გავიგე, რომ წლეულს ეს ტურნირი ჩემთან, ლოს-ანჯელესში უნდა გამართულიყო. აბა, მაშინ რას წარმოვიდგენდი, ყველაფერი ასე კარგად თუ წამივიდოდა. არაფერს დავიშურებ, რათა ეს სეზონი შინ, ასეთ ბობოლა ტურნირზე გამოსვლით დავაგვირგვინო".

ხოლო რამდენადაც ჩვენ ამ 16-ქალა ბობოლა ტურნირზე ფიქრი და მსჯელობა უახლოეს პერიოდში კიდევ ძალიან ბევრჯერ მოგვიწევს, ბარემ აქვე გაახლებთ იმ ათი ქალმჩოგნის სიას, ვინაც იქ მონაწილეობის უფლება უკვე მოიპოვა, და ზედაც მათმომდევნო იმ ათი ქალმჩოგნის ჩამონათვალსაც დავურთავთ, ტურნირის დაწყებამდე, ანუ 6 ნოემბრამდე, ერთმანეთს დარჩენილ 6 ადგილს რომ შეეცილება.

**უკვე გავიდნენ:** *სერენა უილიამსი (აშშ, 5596 ქულა), ვინუს უილიამსი (აშშ, 4844), ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 3455), ამელი მორესმო (საფრანგეთი, 3068), მონიკა სელეში (აშშ, 2796), ჟუსტინ ენენი (ბელგია, 2659), კიმ კლაისტერსი (2534), დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 2495), ელენა დოკიჩი (იუგოსლავია, 2454), მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 2348).*

**დარჩენილი 6 საგზურისთვის იდავებენ:** *ანასტასია მისკინა (რუსეთი, 1918), სილვია ფარინა ელია (იტალია, 1620), ჩანდა რუბინი (აშშ, 1526), ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1419), მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 1415), ანა სმაშნოვა (ისრაელი, 1405), ელენა დემენტიევა (რუსეთი, 1365), ნატალი დეში (საფრანგეთი, 1269), აი სუგიამა (იაპონია, 1241), ელენი დანილიდუ (საბერძნეთი, 1201).*

შეგახსენებთ, რომ ხსენებული ტურნირი 1972 წლიდან იმართება, მას „პორშე" მთავარსპონსორობს და მასზე მოპაექრე ქალები ჯამში 3 მილიონ დოლარს ინაწილებენ. წლეულს ტურნირს ლოს ანჯელესი უმასპინძლებს.

იმდღევანდელზე სათქმელი კი ისღა დაგვრჩა, რითიც ალბათ უნდა დაგვეწყო კიდეც — პარალელურად მიმდინარე კაცთა ტურნირის დარად ქალთა სარბიელმაც სეფემჩოგნე მოისაკლისა. ჯენიფერ კაპრიატის უკვე რამდენიმე დღე იყო, კოჭის ტრავმა აწუხებდა და ოლინდელ მეუიმბლდონე კონჩიტა მარტინესთან ვერაფერი სწორედ ამიტომაც გააწყო.

**ლევან ძელაურაძე**




ჯენიფერ კაპრიატი ახლა კოჭმა შეაწუხა

ეროვნული ბიბლიოთეკა






# ჩვენი სალამი კოლეგას

**თბილისის** სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ტევა არ იყო. თავი მოეყარათ მხატვრებს, მწერლებს, კინემატოგრაფისტებს, გამომცემლებს, სპორტსმენებს, პოლიტიკოსებს... ყველას მაინც ჟურნალისტები სჭარბობდნენ. ყველანი ჩვენი კოლეგის წიგნის „პაატა ნაცვლიშვილი დილის გაზეთში" პრეზენტაციაზე შეკრებილიყვნენ.

ჩვენი კოლეგაო, კი ვამბობთ, მაგრამ პაატა ნაცვლიშვილი მეტნაკლებად იმ სფეროთა წარმომადგენლების კოლეგაცაა, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, რაკილა გვახსოვს მისი პროზაული, პოეტური თუ ჟურნალისტური ოცამდე კრებული, კინოოპერატორის თვალით დანახული სამყარო, მისი დიზაინერობით „პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობაში" დასტამბული წიგნები, რომლებიც მან უნივერსიტეტის სააქტო დარბაზშიც გამოფინა.

გვახსოვს პაატას გატაცება მთამსვლელობით, ნიჩბოსნობითაც, როცა ტიმ სევერინს არგონავტთა ნაკვალევზე „არგოში" ჩაუჯდა მეხოფედ; გვახსოვს მისი მატროსობაც შორეულ ნაოსნობაში.

მთელი საქართველო ფეხით, ცხენით თუ ველოსიპედით მოიარა, მერე კი ასამდე ქვეყანა მოინახულა როგორც ტურისტმა თუ ოფიციალური დელეგაციის წევრმა, უმეტესად კი აკრედიტებული ჟურნალისტი იყო, მათ შორის ბარსელონის, ატლანტის, სიდნეის ოლიმპიადებზე და ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიადაზე, რაზეც მეტად საინტერესო რეპორტაჟებით, წერილებით თუ ნარკვევებით მოგვითხრო.

ახლა იმ საპრეზენტაციო 352-გვერდიანი წიგნის პირველ ნაწილში („გადანახული დროშები") შესულია პაატა ნაცვლიშვილის პუბლიკაციები, რომლებიც ძირითადად ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიურ თამაშებს ეხება, მეორე ნაწილში კი („სინათლე გვირაბში") დასტამბულია არასპორტულ თემებზე დაწერილი წერილები.

ყველა ეს წერილი „დილის გაზეთში" ბოლო ექვსი წლის განმავლობაში გამოქვეყნდა.

„დილის გაზეთმა" თავის ფურცლებზე პაატა ნაცვლიშვილის საქმიანობა სწორედ ამ კრებულის გამოცემით დააფასა.

ეს საიუბილეო საჩუქარი ავტორის, თავადაც რა გინდა რა წიგნისა თუ გაზეთის („ახალგაზრდა კომუნისტი", „სამშობლო", „ნატვრისთვალი", „ასპიროზი", „ხუთი რგოლი", „ახალი ქართული გაზეთი") რედაქტორის დაბადებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით მომზადდა.

„დილის გაზეთმა" პაატას ამ მრავალთარილს მიუძღვნა თავისი საგანგებო თორმეტი გვერდიც სათაურით: „საიუბილეო სალამი კოლეგას".

ამ მისალმებას ჩვენც ვუერთდებით.

**ავთანდილ გურასაშვილი**

რეგულარული ჩემპიონატი

# ლიგაში ბლომად ქვიშა შეიტანეს: ყორნებს ხეხავენ

16 ოქტომბერი

**პიტსბურგი 3:2 ატლანტა 2:0 1:0 0:2**

**1:0 მოროზოვი (15), 2:0 კოვალიოვი (20), 3:0 რ. რობიტაილი (34), 3:1 კოვალჩუკი (38), 3:2 ჰიტლი (55)**

მარიო ლემიე არავის დაჰპირებია, რომ წლეულს სეზონის საუკეთესო ბომბარდირი გახდებოდა და ყველა მატჩში 3-4 ქულას დააგროვებდა. უბრალოდ თქვა, თუ ამ სეზონში ლიგა სერიოზულად შეებრძოლება უხეშობას, შევეცდები, იმ ლემიეს დავემსგავსო, რომელიც ჩემს გულშემატკივარს ახსოვსო. „სუპერმარიო" აქ ახალი წესების შემოღების აქტიური მხარდამჭერი იყო. „თუ ნჰლ-ის ბოსები შეძლებენ ცვლილებების განხორციელებას, მე კვლავ დავბრუნდები და ეგებ ორი სეზონიც ვითამაშო" — განაცხადა ლემიემ მას შემდეგ, რაც წინა სეზონში კვლავ დაშავდა და ჩემპიონატი ველარ ჩაამთავრა. ლიგამ დაპირება შეასრულა და...

ცხადია, ლემიე ისე სწრაფად ვეღარ სრიალებს, ძალაც ძველებურად აღარ ერჩის, მაგრამ ოსტატობა სად დაეკარგებოდა, მით უმეტეს, რომ ბინძური ილეთებით ხელს ვეღარ უშლიან. აგერ, უკვე მესამე მატჩია, მარიოს ვერავინ აჩერებს. ახალმა წესებმა დიად ჰოკეისტს ფრთები შეასხა — 3 ქულა რეინჯერსთან, 4 — ტორონტოსთან და მორიგი ბენეფისი ატლანტასთან. მართალია, მარიომ ამჯერად ვერ გაიტანა, მაგრამ გამოზომილი პასებით პარტნიორები სამჯერ აზეირა და ყველასთვის მოულოდნელად ბომბარდირთა სიის სათავეში მოექცა 10 ქულით (4 გოლი და 6 პასი). ერთ-ერთი გოლი ლემიესთან მუდმივად მოთამაშე ალექსეი მოროზოვმა გაიტანა, რომელიც რამდენიმე ულიმლამოდ ჩატარებული სეზონის შემდეგ ძალიან მოცოცხლდა. „გაოცებისგან თვალები გამიფართოვდა, ლემიეს რომ ვუყურებდი. იგი იმას აკეთებდა, რაც მოესურვებოდა" — თქვა მატჩის შემდეგ ატლანტის თავკაცმა კურტ ფრეზერმა.

„ეს სულ სხვა ჰოკეია, გაცილებით გახსნილი და ლაღი. იმედია, მომავალშიც ასე იქნება" — უსაზღვროდ კმაყოფილი იყო ლემიეც.

**ვანკუვერი 3:6 ბოსტონი 1:1 2:3 0:2**

**1:0 დრაკენი (8), 1:1 გ. მიური (15), 2:1 ბერტუცი (22), 2:2 აქსელსონი (25), 3:2 დ. სედინი (26), 3:3 მ. მაკინისი (36), 3:4 სამსონოვი (38), 3:5 გ. მიური (45), 3:6 ტორნტონი (60)**

კოლორადოსთან სტუმრად მოგებამ აშკარად გამოაღვიძა „დათვები", რომლებმაც ამჯერად ვანკუვერი დაჩაგრეს. სტუმართა შთამბეჭდავი გამარჯვება მათი პირველი ტრიოს — სამსონოვი (გოლი და 2 პასი)-ტორნტონი-მიური (2+1) — საუცხოო თამაშმა განაპირობა.

**ანაჰაიმი 2:4 ლოს ანჯელესი 1:0 0:1 1:3**

**1:0 ბილსმა (20), 1:1 სმოლინსკი (22), 1:2 დედმარში (24), 2:2 რუჩინი (46), 2:3 ელისონი (47), 2:4 ბელანჟე (60)**

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS

პინგვინთა ლიდერმა მარიო ლემიემ ახალი სეზონი ძველებურად ანუ შშვენივრად დაიწყო

# თავში წამალს შეეჩვია


ტეო ფლერი

**როგორც ჩანს**, ჩიკაგოს ფანების პესიმისტური პროგნოზი გამართლდება, თუმცა ეს თუ ასე მალე მოხდებოდა, არავის ეგონა. ჩემპიონატი ახალი დაწყებულია, „ქორები" კი თავიანთ მთავარი შენაძენის ტეო ფლერის გარეშე დარჩნენ. „მძლავრ თაგვს" კვლავ ძველი პრობლემები აწუხებს. ახლახან თავად ჰოკეისტმა მიმართა წერილით ლიგის საგანგებო სარეაბილიტაციო პროგრამას. მან აღიარა, რომ კვლავ ნარკოტიკებს მიეძალა და სურს, რაც შეიძლება მალე განიკურნოს ამ სენისგან. ამას, ცხადია, დისკვალიფიკაცია მოჰყვა და როდის დაბრუნდება ტეო, მხოლოდ ლიგის ექიმებმა იციან.

„ძალიან მძიმე დრო მიდგას, მაგრამ ყოველდღე ვებრძვი ჩემს ცუდ ჩვევას" — განუცხადა ფლერიმ ჟურნალისტებს. საინტერესოა, რომ მანამდე მან ვარჯიშები გააცდინა, რის მიზეზადაც ოფიციალურად მამის ავადმყოფობა გამოცხადდა. როგორც ხედავთ, საქმე უფრო სერიოზულად ყოფილა.



ნჰლ-ში ყინულს ასეთი გოგონები ფხრიალებენ: ესეც ხალხის მისაზიდად

# რა ღირს ბილეთი?

**ნჰლ-ის უფროსობა** და კლუბების ბოსები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რათა ჰოკეისადმი ინტერესი რაც შეიძლება გაიზარდოს. თუნდაც ბილეთების ფასი აიღეთ. არა, ფასმა კი მოიმატა, მაგრამ ბოლო 9 წლის განმავლობაში მინიმალურად — სულ 1,3 პროცენტით. ამრიგად, ერთი ბილეთი საშუალოდ 41,56 დოლარი ღირს, რაც მხოლოდ 50 ცენტით აღემატება შარშანდელ ფასს.

ყველაზე ძვირი ბილეთი ფილადელფიაშია, საშუალოდ 57,06 დოლარი, ხოლო ოთხსულიან ოჯახსა თუ ამდენსავე მეგობრებს სტადიონზე ვიზიტი 310,72 დოლარი დაუჯდება (ცხადია, მანქანის სადგომზე დაყენებით, ჭამით და სხვა).

სიიაფეა ედმონტონში — ერთი ბილეთი 29,36 დოლარი ჯდება, ოთხკაციანი ჯგუფისთვის კი — 176,52 დოლარი.

კალათბურთი

# ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. II ტური. 16 ოქტომბერი

**A ჯგუფი**

აეკ 57:62 ბარსელონა

**B ჯგუფი**

ჟალგირისი 79:94 პანათინაიკოსი

მაკაბი 107:81 სიენა

**C ჯგუფი**

ოლიმპიაკოსი 71:77 ულქერი

ვილერბანი 87:80 ფლორენცია

რეალი 73:81 კინდერი

იყიდება უნიკალური წიგნები
ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა" (1885) და „მზა-მეტყველება" (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული" (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81

რეკლამა სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ყოჩაღ, რექს!



სამი წლის გერმანული ნაგაზი რექსი საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონია. ამ თეთრბეწვა და გონიერმა არსებამ სადარაჯო და დაცვითი ძაღლების მეექვსე ჩემპიონატი მოიგო.

შეჯიბრს ვაკის პარკში არსებულმა კორტებმა უმასპინძლა. კორტების მფლობელი გიორგი გახოკიძე და ადმინისტრაცია (მანანა ნადირაძე და დავით ჭიჭილეიშვილი) საქართველოს სასპორტო-სასამსახურო ძაღლების კავშირთან ერთად შეჯიბრის ორგანიზატორები იყვნენ. ყოჩაღი ძაღლებისთვის კი პრიზები და ათასნაირი ნუგბარი წყნეთის (გიორგი ასათიანი) და გლდანის (ირაკლი ქორიძე) გამგეობებმა და სამშენებლო ფირმა „განიმედ-99"-ის პრეზიდენტმა გიორგი ცინცაძემ დააწესეს.

აბსოლუტური ჩემპიონის, რექსის პატრონი გიორგი ბულბულიშვილია, მწვრთნელი — ლაზარე პოზოვი.




# დიდი პრიზი ჩინეთს

ბაჰრეინი პატარაა, ჩინეთი კი დიდი. ჰოდა, ბაჰრეინს თუ ექნება თავისი საფორმულე დიდი პრიზი, 2004 წლიდან ასეთი ჩინეთსაც ექნება. საფორმულე მეურნეობა შანხაიში უკვე მზადაა და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის თავკაცი მაქს მოსლიც ამ ქალაქში ტრიალებს. შანხაიში უკვე „იაგუარიც" გამოუფენიათ.




# გადარჩენილი

პერტელი მობურთალი ლორი კერი „კინგსლი ფუტბოლ კლაბიდან" იმ ცამეტ გადარჩენილ სპორტსმენს შორისაა, ბალის ტერაქტმა რომ ასე თუ ისე დაინდო. მაგრამ ლორის ექვსი თანაგუნდელი დაკარგულია და მათი ძებნა ნანგრევებში გრძელდება.



# გუნდური კაცი

წლის თვრამეტი გამორჩეული კაცის დასახელება ნიუ იორკში იყო. წლის მუსიკოსი, მწერალი, მოდელიორი და ა.შ. და ა.შ. და ამათ შორის კი „ნიუ ჯერსი ნეთსის" მცველი ჯეისონ კიდი, რომელიც წლის საუკეთესო გუნდურ სპორტსმენად აღიარეს.






# ძველი გმირები

საუთჰემპტონის „სენტ მერიზე" ინგლის — მაკედონიის მატჩზე მიუწვევიათ კომუნისტური კორეის იმ ნაკრების რვა ცოცხლად დარჩენილი წევრი, რომელთაც 1966 წელს ამ ქალაქში იტალიის ნაკრებს მოუგეს. გახსოვთ, პაკ დუ იკი, პაკ სუნგ ჟინი, მიონგ რი ჰიონი, იანგ სონგ გუკი, ჰანგ ბონგ ჟინი, რიმ იონგ სონი, იმ სონგ ჰვი და რიჩან მიონო?



# მღელვარე ნენსი

ნენსი დელ ოლიოს, ინგლისის ნაკრების მენეჯერ სვენ გორან ერიქსონის ცხოვრების თანამგზავრს, ბევრი არაფერი დაუნახავს კარგი იმ საღამოს. იჯდა საუთჰემპტონის „სენტ მერის" ტრიბუნაზე და, ცხადია, ღელავდა, რადგან ინგლისის ნაკრები ცოდვილობდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხულია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვიჩა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge